





# COVID-19 კრიზისის გავლენის გენდერული განყოფილება და პანდემიულ რეაგირების ეფექტიანობა



ეკატერინე ბამახარია  
ფონდი „სოხუმი“  
დეკემბერი, 2020

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი _____	3
1. კვლევის მეთოდოლოგია და დემოგრაფიული მონაცემები _____	5
2. ძირითადი მიგნებები _____	7
2.1. მოსახლეობის დამოკიდებულება მთავრობის მხრიდან გატარებული შეზღუდვების მიმართ _____	7
2.2. პანდემიის შესაკავებლად გატარებული ღონისძიებები და ადამიანთა მონყვლადობის ხარისხი _____	10
2.3. პანდემიის შესაკავებლად გატარებული ღონისძიებების და შეზღუდვების გენდერული გავლენა მოსახლეობის ადამიანურ უსაფრთხოებაზე _____	11
2.3.1 ჯანმრთელობის უსაფრთხოება _____	13
2.3.2. ეკონომიკური უსაფრთხოება _____	14
2.3.3 განათლების უსაფრთხოება _____	17
2.3.4. ფიზიკური უსაფრთხოება _____	20
2.4. გალის რაიონი - გამშვები პუნქტის დაკეტვის გავლენა მოსახლეობის ადამიანურ უსაფრთხოებაზე _____	22
2.5. მოსახლეობის დამოკიდებულება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიკრიზისული მხარდაჭერის პროგრამების მიმართ _____	27
3. კრიზისზე რეაგირების სტრატეგიები - რეკომენდაციები _____	32

პუბლიკაცია მომზადდა შვედეთის ქალთა ფონდის Kvinna till Kvinna მხარდაჭერით პროექტის „კონფლიქტების ადრეული პრევენცია - თეორია და პრაქტიკა“ ფარგლებში

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

# შესავალი

Covid-19 პანდემიის აფეთქებამ და მას თანმდევი კრიზისმა უპრეცედენტოდ ძლიერი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ცხოვრებაზე. პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა რადიკალურად შეცვალა მრავალი ადამიანის ცხოვრების ჩვეული წესი და უამრავ სოციალურ, ეკონომიკურ და ფსიქოემოციურ პრობლემას დაუპირისპირა. პანდემიის შედეგებმა არა მარტო გააათმაგა მოსახლეობის დაუცველობის ხარისხი, არამედ პრაქტიკულად შეცვალა მონყვლადობის პარადიგმა და საზოგადოებაში ახალი რისკ-ჯგუფები გააჩინა.

ფონდი „სოხუმი“ გენდერულად მგრძობიარე, ადრეული გაფრთხილების სისტემის (Gender Responsive Early Warning) მეთოდოლოგიის გამოყენებით, სისტემატურად სწავლობს მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების ხარისხს, კონფლიქტების და დაძაბულობის აღმოცენების მაღალი რისკის ლოკაციებში, განსაკუთრებით კი დევნილთა მაღალი კონცენტრაციის და კონფლიქტის გამყოფ ზოლში მდებარე დასახლებებში, სადაც მოსახლეობის მონყვლადობა საკმაოდ მაღალია. გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორების გამოყენებით ხდება გენდერულად სპეციფიკური გამოწვევების და საჭიროებების შეფასება და მათზე რეაგირების შესაბამისი სტრატეგიების და მოქმედებების დაგეგმვა არსებული მწვავე პრობლემების დროული და სათანადო გადაჭრის მიზნით.

ფონდი „სოხუმის“ მიერ აპრილში, კარანტინის და შეზღუდვების ყველაზე აქტიურ ფაზაში ჩატარებულმა სწრაფმა მოკვლევამ **„პანდემიის გენდერული განზომილება და მისი გავლენა ადამიანურ უსაფრთხოებაზე“** ცხადყო, რომ, მიუხედავად უამრავი გამოწვევისა, პანდემიის გავლენა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფზე, მათი სოციალური სტატუსის, სქესის, ასაკის თუ საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, საკმაოდ განსხვავებულია, ისევე, როგორც განსხვავდება პანდემიით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებთან ადამიანთა მხრიდან მასთან გამკვლავების ხარისხი. შექმნილმა მდგომარეობამ განსაკუთრებული სიმძაფრით წამოჭრა მოსახლეობის ახალი საჭიროებები და პრობლემები, რომლებიც მათი წარმოქმნის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტების გადაფასებას, საჭიროებაზე დაფუძნებულ, მიზნობრივ და დროულ რეაგირებას მოითხოვს.

ფონდი „სოხუმის“ მიერ პირველი კვლევის დროს გამოვლენილ გადაუდებელ გამოწვევებზე საპასუხოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, შესაბამისი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით და ადგილებზე სათემო ლიდერების აქტიური მონაწილეობით მოხერხდა მოსახლეობის საჭიროებაზე მორგებული არაერთი მოქმედების განხორციელება და მწვავე პრობლემის გადაჭრა, რომელთა შორისაა:

- ❖ ზუგდიდის ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის სამსახურებთან აქტიური ადვოკატირების და თანამშრომლობის გზით მოხერხდა სოფელ კახათში, **დევნილთა დასახლების კოლექტიურ ცენტრში** მწყობრიდან გამოსული, საერთო მოხმარების ერთადერთი საპირფარეოს გასუფთავება და შეკეთება. თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლავ საგანგაშო იყო კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები ადამიანების მდგომარეობა შენობის ავარიულობის და გაუმართავი და უმოქმედო საკანალიზაციო სისტემის გამო. გაუმარგებელი კედლები და ჩამოშლილი აივნები საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ აყენებს აღნიშნულ ცენ-

1 ეკატერინე გამახარია, „პანდემიის გენდერული განზომილება და მისი გავლენა ადამიანურ უსაფრთხოებაზე“, ფონდი „სოხუმი“, მაისი, 2020, ხელმისაწვდომია <http://www.fsokhumi.ge/index.php/ka/newska/publicatia/6546-covid-19>



ტრში მცხოვრებ მოსახლეობას. გაუმართავი კანალიზაციის გამო, საყოფაცხოვრებო მოხმარების დროს დაგროვილი წყლის გადაღვრა მოსახლეობას გარეთ უწევდა, რაც იწვევდა მუდმივ ნესტს და აუტანელ სუნს და ასევე დასახლებაში ქვეწარმავლების მომრავლების მიზეზს და ინფექციის მუდმივ წყაროს წარმოადგენდა. ფონდი „სოხუმის“ და დევნილთა უშუალო ჩართულობით, ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან აქტიური ადვოკატირების შედეგად, მოხერხდა კახათის კოლექტიური ცენტრის მოსახლეთა განსახლება და ახალი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

- ❖ ნალენჯიხისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში, „გამყოფი ზოლის“ ორივე მხარეს მდებარე 4 სოფელში (ფახულანი, საბერიო, ხურჩა, კოკი) 24 მოწყვლად და მრავალშვილიან ოჯახს სასკოლო ასაკის ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართვის უზრუნველსაყოფად დაურიგდა სმარტფონები და კომპიუტერები და გადაეცა სატელეფონო ულიმიტო ინტერნეტ ბარათი;
- ❖ ფონდი „სოხუმის“ 11 მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოწყვლად ოჯახებს, მათ შორის, დევნილ ქალებს, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს, ხანდაზმულებს, შშმ პირებს, დაურიგდათ მრავალჯერადი მოხმარების 1000 პირბადე. პირბადეები შეიკერა ფონდი „სოხუმის“ ბაზაზე მოქმედ „ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრში“, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ჭრა-კერვის პროფესიული კურსის წარმატებული კურსდამთავრებული ძალადობის მსხვერპლი ქალები. ქალებს მიეცათ არა მარტო დასაქმების, არამედ საკმაოდ ღირებული პრაქტიკის გავლის და პროფესიული უნარების გაძლიერების შესაძლებლობა;
- ❖ ფონდი „სოხუმის“ ფსიქოლოგმა ქალებთან ინდივიდუალური და ჯგუფური სატელეფონო და ონლაინ ფსიქოლოგიური სესიების და კონსულტაციების გზით 2020 წლის მაისიდან-ნოემბრის პერიოდში 779 ქალს გაუწია ფსიქოლოგიური დახმარება;
- ❖ მოკვლევის პერიოდში საგანგებო ვითარებით დადგენილი წესების და რეგულაციების შესახებ, ასევე ჩვენი ორგანიზაციის ქალ ბენეფიციართათვის საინტერესო საკითხებზე ფონდი „სოხუმის“ იურისტმა 2020 წლის მაისი-ნოემბრის პერიოდში იურიდიული კონსულტაცია გაუწია 68 ქალს.

მიუხედავად განხორციელებული მოქმედებებისა, მოსახლეობის ცხოვრებაში კვლავ მრავლადაა გადაუდებელ პრობლემათა ნუსხა, რომელთა გადაწყვეტა ჭიანურდება და კიდევ უფრო დიდი რისკის ქვეშ აყენებს მათ ადამიანურ უსაფრთხოებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია პანდემიის გავლენის შესწავლა ფონდი „სოხუმის“ სამიზნე რეგიონებში<sup>2</sup> მცხოვრები ქალებისა და გოგონების ადამიანურ უსაფრთხოებაზე და ასევე მოსახლეობის მხრიდან მათ ცხოვრებაში კრიზისით გამოწვეული ნეგატიური შედეგების გამკლავების ხარისხის შეფასება. აღნიშნული კვლევის პროცესში შესწავლილ იქნა მოსახლეობის დამოკიდებულება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გატარებული პოლიტიკის და მხარდაჭერის პროგრამების მიზნობრიობის და ეფექტიანობის შესახებ.


კვლევის შედეგად გამოვლენილი გამოწვევების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს მოსახლეობაზე პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ეფექტის შემცირებას და მომავალში ჯეროვანი, საჭიროებაზე მორგებული სტრატეგიების და მოქმედებების დაგეგმვას და არსებულ პრობლემებზე რეაგირების ეფექტიანობის გაზრდას.

2 11 მუნიციპალიტეტი: ქუთაისის, წყალტუბოს, თერჯოლის, ხონის, სენაკის, ფოთის, ზუგდიდის (კონფლიქტის გამყოფ ზოლში მდებარე სოფლები: კოკი, ხურჩა, შამგონა, ორსანტია, კახათი), წალენჯიხის (კონფლიქტის გამყოფ ზოლში მდებარე სოფლები: ფახულანი, წყოლში), ლანჩხუთის, ოზურგეთის და ქობულეთის მუნიციპალიტეტები.

# 1. კვლევის მეთოდოლოგია და დემოგრაფიული მონაცემები


წინამდებარე კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით და მოიცვა ფონდი „სოხუმის“ სამიზნე 11 მუნიციპალიტეტი (ქუთაისი, წყალტუბო, თერჯოლა, ხონი, სენაკი, ფოთი, ზუგდიდი (კოკი, ხურჩა, შამგონა, კახათი), წალენჯიხა (ფახულანი, წყოშში), ლანჩხუთი, ოზურგეთი, ქობულეთი და ასევე გალის რაიონის გამყოფ ზოლთან მდებარე სოფლები (ნაბაკევი და საბერიო). მონაცემები შეგროვდა 2020 წლის სექტემბერ-ნოემბერში, ხოლო პანდემიის შესაკავებლად ამოქმედებული გამკაცრებული რეგულაციების შემდეგ ცალკეული ინტერვიუები ჩატარდა დეკემბრის პირველ რიცხვებში, ონლაინ ანკეტირების და ბენეფიციარებთან ონლაინ ან/და პირდაპირი შეხვედრების გზით. კვლევამ მთლიანობაში მოიცვა 653 რესპონდენტი, აქედან ანკეტირების გზით გამოიკითხა 580 რესპონდენტი, ამათგან 76.2% (442) - ქალი, ხოლო 23,8% (138) - მამაკაცი. მუნიციპალიტეტების მიხედვით, რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა (იხ. დიაგრამა №1)

დიაგრამა №1




ფოკუს-ჯგუფის მეთოდით დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 73 ადამიანმა, მათ შორის 63-მა ქალმა და 10-მა მამაკაცმა. კვლევის მონაწილეთა გენდერული კომპოზიცია და ქალთა რაოდენობის სიმრავლე მიუთითებს, რომ საკითხების ირგვლივ გამოხატული პოზიცია და წამოჭრილი პრობლემები მეტწილად ასახავს კვლევაში მონაწილე ქალთა შეხედულებებს. რესპონდენტთა ასაკი მერყეობდა 15-დან-70 წლის ზევით, რაც შემდეგნაირად განაწილდა (იხ. დიაგრამა №2):

დიაგრამა №2



გამოკითხულთა უმრავლესობას, კერძოდ კი 42,8%-ს (248) ნარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობა, 31% (180) იყო დევნილი, 19,3% (112) - საქართველოს კონტროლირებად კონფლიქტის „გამყოფ ზოლში“ მცხოვრები ადამიანები და 6,9% (40) - გალის რაიონის მოსახლეობა. დასაქმების მიხედვით, რესპონდენტთა 30,5% დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო საქმით, 25,3% თვითდასაქმებული/კერძო ბიზნესში ჩართული პირია, 14,3% - უმუშევარი, ხოლო 14,3% - სახელმწიფოს მიერ დასაქმებული (იხ. დიაგრამა №3).

დიაგრამა №3



## 2. ძირითადი მიზნები

### 2.1. მოსახლეობის დამოკიდებულება მთავრობის მხრიდან გატარებული შეზღუდვების მიმართ

COVID-19-ის გავრცელების საპასუხოდ, ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ვირუსის გავრცელების შენელების უზრუნველსაყოფად გატარდა საკმაოდ მკაცრი ღონისძიებები, განსაკუთრებით 2020 წლის მარტი-მაისის პერიოდში, როგორცაც: საერთაშორისო სამგზავრო საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიმოსვლის შეჩერება მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა; სასწრაფო დაწესებულებების დახურვა და დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეჩერება; მასობრივი და საჯარო თავყრილობების აკრძალვა; ცალკეული ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვა; საჯარო და სხვა დაწესებულებების მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა; ფიზიკური დისტანცირება, კონფლიქტის გამყოფ ზოლში არსებული „გამშვები პუნქტების“ დახურვა და ქვეყნის დონეზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, მათ შორის მკაცრი კარანტინი და კომენდანტის საათი.

შეზღუდვებით გამოწვეული პრობლემების მიუხედავად, რესპონდენტთა უმრავლესობა, კერძოდ კი **60,5%**, ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებს დადებითად აფასებს და თვლის, რომ შეზღუდვები კრიზისის სამართავად ადეკვატური იყო, თუმცა გამოკითხულთა თითქმის მესამედი - **28%**, აღნიშნულ მოქმედებებს ნაწილობრივ მართებულად მიიჩნევს -

*„მე მივიჩნევ, რომ სახელმწიფომ თავის დროზე მიიღო დროული ზომები, ანუ მიღებული შეზღუდვები იყო ადეკვატური. მიღებულმა შეზღუდვებმა შეაჩერა კოვიდ-19-ის ფართოდ გავრცელება“ (მ.ს., ქალი, 54 წლის, ქუთაისი).*

*„იმ ფონზე, როცა შენ არც კი იცი, რა უნდა ქნა, როგორ უნდა დაიწყო, მე ვთვლი, რომ ხელისუფლებამ იმოქმედა ადეკვატურად და ჩვენ მივიღეთ საოცარი შედეგი... მაშინ გადავიარეთ პირველი ტალთა უმტკივნეულოდ. რეგულაციების გარეშე ცხოვრება უკვე აღარ გამოგვივა, რადგან ეს ვირუსი არსად არ მიდის, ეს ვირუსი იქნება, სანამ ვაქცინა აქ იქნება“ (გ.თ., 60 წ, კაცი, თერჯოლა).*

თვისებრივი მონაცემების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი თანხმდებოდა, რომ ისეთ პირობებში, როცა უპირისპირდები აბსოლუტურად ახალ ვირუსს და არ ფლობ სრულ ინფორმაციას მისი მართვის და მასზე რეაგირების შესახებ, შეზღუდვები აუცილებელი იყო, თუმცა გატარებულმა მკაცრმა მიდგომამ და შემდგომ შეზღუდვების უკონტროლო შერბილებამ გამოიწვია კიდევ უფრო დამანგრეველი შედეგები, რადგან მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომლის ცხოვრებაზე ვირუსმა ნეგატიური გავლენა მოახდინა, უკვე ვეღარ მოახერხა რეაბილიტირება და ცხოვრების ჩვეული რიტმის აღდგენა -

*„ვფიქრობ, გადაჭარბებული იყო მაშინდელი შეზღუდვები, თუ ასე მიუშვებდნენ, მაინც გავრცელდა და რა მნიშვნელობა ჰქონდა ამხელა ეკონომიკურ ზარალს?! მაშინდელი ეკონომიკური შოკიდან ვერ გამოსულა ხალხი“ (რ. ჩ., ქალი, 57 წლის, წყალტუბო).*




კვლევით ასევე დადგინდა, რომ მკაცრი შეზღუდვების შემსუბუქების შემდეგ გამოკითხულთა 37,9%-მა მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო ცხოვრების ჩვეული რეჟიმის აღდგენა, ხოლო ეს ვერ მოახერხა 29%-მა. ცხოვრების ჩვეულ რიტმს სრულად დაუბრუნდა რესპონდენტთა 32,2% (იხ. დიაგრამა №4).

ნიშანდობლივია, რომ ადამიანთა მიერ პანდემიით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებთან გამკლავების ხარისხი საკმაოდ განსხვავდება იმის მიხედვით, თუ მოსახლეობის რომელ ჯგუფს მიეკუთვნება კვლევაში მონაწილე პირი. მაგალითად, თუ „ადგილობრივი“ მოსახლეობის უმრავლესობამ - 44%-მა ხაზი გაუსვა, რომ შეძლო ჩვეული ცხოვრების აღდგენა, ან ეს ნაწილობრივ შეძლო - 37%, სურათი რადიკალურად განსხვავდება კონფლიქტის გამყოფი ზოლის ორივე მხარეზე მცხოვრები მოსახლეობისთვის. მაგალითად, გალის რაიონში მცხოვრებ გამოკითხულთა 95% ხაზს უსვამს, რომ ვერ შეძლო ცხოვრების ჩვეულ ფერხულში ჩადგომა. იგივე აზრისაა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გამყოფ ზოლში მცხოვრები კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის 36,1%, ხოლო 43,9% აღნიშნავს, რომ ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო. აღნიშნული თვალნათლივ მოწმობს, რომ მოსახლეობის ადგილმდებარეობის და მდგომარეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია როგორც პანდემიით გამოწვეული შედეგების სიმწვავე, ასევე ნეგატიური ეფექტის გამკლავების ხარისხი და მისი დაძლევის შესაძლებლობებიც -

*„პრინციპში, შევძელი ძველ ცხოვრებაში დაბრუნება. ყველაფერს ეჩვევა ადამიანი. ვეჩვევით კოვიდ-19-საც. ამ სიახლეს სჭირდებოდა შეჩვევა, ჩაკეტვები, შეზღუდვები. მერე ისევ ჩვეულებრივ რიტმზე რომ გადავედით, ეგ არ იყო პრობლემა. სადაც ვმუშაობდი, იქ ვმუშაობ“ (მ. კ., ქალი, 34 წლის, ადგილობრივი, ხონი).*

*„ჩვენთვის არაფერი გაკეთებულა. ჩვენ ცუდის მეტი არაფერი მიგვიღია. ადამიანები ორმოში რომ ჩაყარო და მიაგდო, ისე მიგვაგდეს. არ არის ეს სამართლიანი. განა ასე ადვილია ამ ზონაში ცხოვრება? არ აღწევს ჩვენამდე არაფერი. გინდა მოკვდი, გინდა გადარჩი“ (მ.ლ., ქალი, 56 წლის, ნაბაკევი).*


დიაგრამა №4





კითხვაზე, თუ შეზღუდვის რომელმა ფორმამ იქონია მათ ცხოვრებაზე ყველაზე ნეგატიური გავლენა, გამოკითხულთა უმრავლესობამ, ძირითადად, გამოყო: ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა (61,7%), 3-ზე მეტი ადამიანის თავშეყრის შეზღუდვა - 31,7%, სასწავლო პროცესის შეჩერება და დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა - 38,4%, სახელმწიფო თუ სხვა ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანების დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა - 30,5% (იხ. დიაგრამა №5). ხოლო ენგურის ორივე მხარეს გამოყოფ ზოლში მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობამ კი ხაზი გაუსვა გამშვები პუნქტის დახურვას - 25,9%. აღნიშნული პასუხები საკმაოდ სიმპტომურია, რადგან მოსახლეობის სოციალურმა იზოლაციამ, ეკონომიკური საქმიანობის და გადაადგილების შეზღუდვით გამოწვეულმა, საარსებო წყაროს და შემოსავლის დაკარგვამ, ცხოვრების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლის მოუმზადებლობამ და საქართველოს მრავალ დასახლებაში ინტერნეტის შეზღუდულმა წვდომამ უამრავი სოციალური, ეკონომიკური და ფსიქოემოციური პრობლემა შექმნა ადამიანთა ცხოვრებაში. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის გაჭიანურებამ არაერთი რისკი წარმოქმნა მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოებისთვის, რაც განსაკუთრებული სიმწვავეით აისახა ქალების ცხოვრებაზე. გამონვევებზე დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშის შემდეგ ქვეთავებში.

დიაგრამა №5




## 2.2. პანდემიის შესაკავებლად გატარებული ღონისძიებები და ადამიანთა მონაცვლადობის ხარისხი

წინამდებარე კვლევის შედეგები მოწმობს, რომ მარტსა და აპრილში მოსახლეობის ცხოვრებაში გამოვლენილ პრობლემათა დიდი ნაწილი დღემდე აქტუალურია, ხოლო მათზე გაჭიანურებული ან არასათანადო რეაგირება დამატებითი მწვავე პრობლემების გამოწვევის წყაროს წარმოადგენს, რაც უკიდურესად ამძიმებს ადამიანთა ყოფას და კიდევ უფრო მეტ რისკს უქმნის მათ უსაფრთხოებას.

გამოცდილებამ ცხადყო, რომ პანდემიით გამოწვეული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური შედეგები არაპროპორციულად მოქმედებს ქალებსა და მამაკაცებზე, რაც განსაკუთრებით მძაფრდება მოსახლეობის მონაცვლადობის სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, მაგალითად, მრავალშვილიანი ოჯახები ან პირიქით - მარტოხელა დედები (მამები), ძალადობის მსხვერპლი ქალები, ხანდაზმულები, კონფლიქტით დაზარალებულები, დევნილები, მოსწავლეები, სტუდენტები და ა.შ.

რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, ყველაზე მონაცვლად კატეგორიად, რომელთა მდგომარეობა სადღეისოდ საკმაოდ საგანგაშოა, გამოკითხულთა მიერ დასახელდა: **ენგურს გაღმა მცხოვრები მოსახლეობა - 45,6%**, **მოსწავლეები - 45,1%**, **ქრონიკული დაავადებების მქონე პირები - 42,8%**, **ძალადობის მსხვერპლი ქალები - 38,9%**, **მრავალშვილიანი ოჯახები - 30%** და **მარტოხელა დედები/მამები - 29,5%** (დეტალურად იხ. დიაგრამა №6). აქედან ენგურს გაღმა, გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობის მონაცვლადობას ყველაზე მეტად ხაზს უსვამს თავად გალის რაიონში (95%) და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გამყოფი ზოლის გასწვრივ მცხოვრები (71,1%) მოსახლეობა. მოსწავლეების მდგომარეობის საგანგაშოობას ყველაზე მეტად აღნიშნავს ასევე კონფლიქტის გამყოფი ზოლის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობა (გალის რაიონში - 47,5% და საქართველოს კონტროლირებად ენგურს აქეთ მცხოვრები - 50,5%). ქრონიკულ დაავადებულთა მდგომარეობის სიმწვავეზე მეტწილად უთითებენ დევნილები - 59,8%. ოჯახის ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობას საგანგაშოდ მიიჩნევს ადგილობრივი (41,1%), საქართველოს კონტროლირებად გამყოფ ზოლში მცხოვრები, (40%) დევნილი (35,7%) და გალის რაიონში (35%) მცხოვრები მოსახლეობა (იხ. დიაგრამა №6).

დიაგრამა №6



არსებული მონაცემები უპირობოდ მიანიშნებს იმას, რომ ვირუსის ეფექტი და ზემოქმედება ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფზე საკმაოდ განსხვავებულია და მოსახლეობის ადგილმდებარეობა და საბაზისო სერვისებისადმი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად ცვლის მათი მოწყვლადობის ხარისხს. ბუნებრივია, საკმაოდ მაღალი რისკი შეექმნა ენგურს გაღმა, გალის რაიონში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ადამიანურ უსაფრთხოებას, რომელთაც გამშვები პუნქტის გადაკეტვის გამო ალექვეთათ თავისუფალი მიმოსვლა და საბაზისო სერვისებისადმი წვდომა (ჯანდაცვის სერვისები, მაღაზიები, აფთიაქები, დოკუმენტების შეცვლა, სხვადასხვა სახის სოციალური შემწეობის ან პენსიის მიღება და ა.შ.). უამრავ გამონვევაზე საუბრობს საქართველოს კონტროლირებად, კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები მოსახლეობა, რომელიც ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო (ინტერნეტისადმი შეზღუდული წვდომა, ტრანსპორტის და წყალმომარაგების პრობლემები, ამბულატორიების, აფთიაქების, მაღაზიების არარსებობა) მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მოსახლეობის საჭიროებების შესწავლა და საპასუხო მოქმედების განხორციელება, მოსახლეობის გენდერული სპეციფიკის, ასაკობრივი თუ სოციალური ჯგუფის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, რაც გაზრდის პრობლემაზე რეაგირების ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს ნეგატიური შედეგების დროულ შემცირებას. გარდა ამისა, კვლევის მონაცემებით საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა ზოგიერთი ჯგუფისთვის ამოქმედებული შეზღუდვების არათანაზომიერება არსებულ პირობებთან, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის პრაქტიკულად წარმოუდგენელია ახალ რეალობასთან ადაპტირება ინფრასტრუქტურული პრობლემების და არასათანადო პირობების გამო.

### 2.3. პანდემიის შესაკავებლად გატარებული ღონისძიებების და შეზღუდვების გენდერული გავლენა მოსახლეობის ადამიანურ უსაფრთხოებაზე

გამოკითხულთა უმრავლესობის, კერძოდ კი **64,8%-ის** მტკიცებით „ხელისუფლების მხრიდან ამოქმედებულმა შეზღუდვებმა „შეცვალა მათი ყოფა, მაგრამ მნიშვნელოვნად არ გაუუარესებია მდგომარეობა“. აღნიშნულ პასუხს თითქმის თანაბრად უთითებს როგორც ადგილობრივი (71,8%), ასევე საქართველოს მიერ კონტროლირებად, კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები (70%) და დევნილი (61,6%) მოსახლეობა. გამოკითხულთა 26,6%-მა კი ხაზი გაუსვა, რომ პანდემიამ „მნიშვნელოვნად გააუარესა მათი ცხოვრება და უამრავი რისკი შექმნა ადამიანური უსაფრთხოებისთვის“. ნიშანდობლივია, რომ გალის რაიონის რესპონდენტთა 92,5%-მა სწორედ ამ პასუხზე შეაჩერა თავისი არჩევანი.

რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ პანდემიის ყველაზე ნეგატიური შედეგი ფსიქოლოგიური პრობლემები და სტრესია - **73,2%**, რაც ყველაზე მეტად გამოიკვეთა დევნილ მოსახლეობაში (75,9%) ხოლო **59,8%** ხაზს უსვამს ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გაუარესებას, რაც ფაქტობრივად თანაბარია გამოკითხულთა ყველა ჯგუფისთვის. გამოკითხულთა **40,7%-ის** მნვავე პრობლემას წარმოადგენს სამსახურების დაკარგვა და ეკონომიკური საქმიანობის აღდგენის შეუძლებლობა. რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, ეს პრობლემა ყველაზე მეტად შეეხო საქართველოს კონტროლირებად, კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრებ მოსახლეობას (180-დან 99 - 55%). რესპონდენტთა **33%** აღნიშნავს, რომ სტრესმა და ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა მათ ოჯახში კონფლიქტები/ძალადობა გამოიწვია, რასაც უმეტესწილად დევნილმა მოსახლეობამ (42%) გაუსვა ხაზი (დეტალურად იხ. ცხრილი №1).



ცხრილი №1

პანდემიის შედეგად დამდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა					
პრობლემები	ადგილობრივები	გალის რაიონი	კონფლ. გამყოფი ზონა	დევენილები	სულ (რაოდ. %)
ა) დავკარგე სამსახური/ვერ მოვახერხე ჩემი ეკონომიკური საქმიანობის აღდგენა;	93 (37,5%)	13 (32,5%)	99 (55%)	31 (27, 7%)	236 (40, 7%)
ბ) გაუარესდა ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა;	120 (48,4%)	17 (42,5%)	105 (58,3%)	56 (50%)	298 (59,8%)
გ) გამძაფრდა სტრესი და ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც გავლენას ახდენს ჩემს ჯანმრთელობაზე;	147 (59,3%)	22 (55%)	111 (61.7%)	85 (75,9%)	365 (73,3%)
დ) სტრესი და ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც იწვევს ოჯახში კონფლიქტებს/ძალადობას;	71 (28,6%)	13 (32,5%)	34 (18,9%)	47 (42%)	165 (33,1%)
ე) დამეძაბა ოჯახში ურთიერთობა და მიწვევს კონფლიქტურ გარემოში ცხოვრება;	17 (6,8%)	4 (10%)	7 (3,8%)	18 (16%)	46 (9,2%)
ე) დამენგრა ოჯახი;	0	0	0	2 (1,8%)	2 (0,4%)
ვ) შეზღუდვების გამო (კარანტინი) ვერ ვახერხებ აუცილებელი სერვისების მიღებას (საბუთების შეცვლა, აღდგენა, მიღება და ა.შ.);	1 (0,4%)	17 (42,5)	2 (1,1%)	3 (2.7%)	20 (4,6%)
ზ) მე ან/და ჩემს ოჯახის წევრებს დღემდე არ გვაქვს პენსიის მიღების შესაძლებლობა;	0	20 (50%)	0	0	22 (4%)
თ) შვილების სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართვის შესაძლებლობა.	13 (5,2%)	11 (27,5)	8 (4,4%)	11 (9,8%)	43 (8,6%)



### 2.3.1 ჯანმრთელობის უსაფრთხოება

პანდემიის კრიზისით გამოწვეულ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს ფსიქოლოგიურ პრობლემებს და სტრესს - 73,2%, რაც უარყოფითად აისახა ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. განსაკუთრებით აქტუალურია ეს პრობლემა ქალებისთვის, რომლებიც აღნიშნავენ, რომ დაბალი უსაფრთხოების ხარისხის, ოჯახის წევრთა მოვლაზე და საოჯახო საქმიანობის გაზრდილი პასუხისმგებლობის და სხვა ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გამო საკმაოდ მაღალ ფსიქოლოგიურ წნეხში იმყოფებიან -

*„პანდემია, შეზღუდვები, ინფიცირების მუდმივი შიში სულ არსებობს, მაგრამ მე უფრო ის მანუხებს, ხვალ რით გამოვკვებო ჩემი შვილები? თითქმის ყველაფერი დაგეგმვა... ამ ჩაკეტვამ ის არასტაბილური სამსახურებიც კი დაგვაკარგია და ახლა იმაზე ვფიქრობ, ხვალ რა გველის... ან ამ დაუსრულებელი დისტანციური სწავლების დროს რა ელის ჩემი შვილების განათლებას, როდესაც ნახევრად ეს-მით და ერთგებიან და ნახევრად არა... მუდმივ სტრესში ვარ“ (მ. ს., ქალი, 39 წლის, ქუთაისი).*

ჯანმრთელობის მნიშვნელოვან გაუარესებას ხაზს უსვამს რესპონდენტთა 59,8%, რომელთა უმრავლესობა დევნილი და კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები მოსახლეობაა. ჯანმრთელობის უსაფრთხოების პრობლემაზე განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას სოფელ ხურჩაში მცხოვრებნი, რომლებიც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, მათ სოფელში უფუნქციო და უმოქმედო ამბულატორიას მიიჩნევენ -

*„ხურჩაში ისედაც ასაკოვანი ხალხია ძირითადად დარჩენილი, რომლებიც სულ ექიმებზე არიან დამოკიდებულნი... ამდენი წელია, ველოდებით და, როგორც იქნა, გამოიყო ამბულატორიისთვის შენობა. გახსნას არ დაადგა საშველი. რამდენი ხანი იქნება ეს გამზადებული შენობა აღჭურვილობის და ექიმის გარეშე, არ ვიცი. არა აქვს არაფერს დასასრული“ (მ.დ., ქალი, 72 წლის, ხურჩა).*

ამბულატორიის გარეშე დარჩენილ სოფელს საკმაოდ შეზღუდული გრაფიკით, კვირაში ერთხელ ან ორჯერ ემსახურება ექიმი ზუგდიდიდან, რაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის და ინფიცირებულთა რიცხვის მატების პირობებში კიდევ უფრო შემცირდა. პრობლემას ართულებს ისიც, რომ სასწრაფო დახმარების ბრიგადების უკიდურესად გადატვირთულობის ფონზე, ფაქტობრივად არ არსებობს მოსახლეობისთვის გადაუდებელი შემთხვევის დროს სწრაფი დახმარების განვების შესაძლებლობა -

*„ახლა პანდემიის გამო ცოტა გართულდა სიტუაცია, სასწრაფოს ბრიგადა კი მოდის ზუგდიდიდან, მაგრამ დაგვიანებით და ეს რამდენიმე საათი ძალიან ბევრია - გააჩნია, რა სიმძიმის ავადმყოფია“ (მ. რ., ქალი, 62 წლის, ხურჩა).*

სამედიცინო დაწესებულებების და სასწრაფო დახმარების ბრიგადების გადატვირთულობა, გადაუდებელ მდგომარეობაში პაციენტებისთვის დაგვიანებული სამედიცინო მომსახურების გაწევა მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ საფრთხეს და რისკს წარმოადგენს.

გამოკითხულთა ნაწილი ჯანმრთელობისთვის გაზრდილ საფრთხედ განიხილავს კოვიდინფიცირებულ პაციენტთა სახლში მკურნალობას, განსაკუთრებით დიდ ქალაქებს მოშორე-

ბულ სოფლებში, სადაც მოსახლეობას აფთიაქების არარსებობის გამო არ აქვს საჭირო მედიკამენტების ყიდვის შესაძლებლობა და ექიმებისადმი თავისუფალი წვდომა. მდგომარეობას ართულებს ასევე ინტერნეტისადმი საკმაოდ შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რაც აფერხებს ინფორმაციისადმი წვდომას და ექიმებთან ონლაინ და დისტანციური კონსულტაციების ჩატარების შესაძლებლობას. აღნიშნულ პირობებში კიდევ უფრო რთულდება ქალთა მდგომარეობა, რომელთა მხრებზე გადადის დაავადებული ოჯახის წევრებზე და საოჯახო საქმეებზე ზრუნვა, რაც არ წყდება მათი ინფიცირების შემდეგაც -

*„ოჯახს როგორ დავტოვებდი, ვინ მოუვლიდა შვილებს, ვინ მოუმზადებდა საჭმელს... მერჩივნა, ისევ ჩემს ოჯახთან დავრჩენილიყავი და მომეარა... დაინფიცირების მერეც, როცა თავს საკმაოდ სუსტად ვგრძნობდი, ვაგრძელებდი საოჯახო საქმეების კეთებას... მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მდგომარეობის გაუარესების მომენტისთვის ჩემი ოჯახის ყველა წევრი ჩემზე უკეთ იყო, დამხმარე არავინ მყავდა“ (ნ. დ., ქალი, 46 წლის, ქუთაისი).*

წლების განმავლობაში მოუგვარებელი წყალმომარაგების პრობლემაზე საუბრობენ ფახულანის და წყოუმის სოფლის წარმომადგენლები, რომლებიც ხაზს უსვამენ ამ პრობლემის უარყოფით გავლენას მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, განსაკუთრებით პანდემიის ჟამს, როცა ჰიგიენის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. წყლის არარსებობა კიდევ უფრო ართულებს ქალების ოჯახურ საქმიანობას, რაც მათ ჯანმრთელობაზე აისახება -

*„თბილი შემოდგომა გვქონდა. რამდენი ხანია, წვიმაც არ მოსულა და ქები დაშრამთელ სოფელში. წყალი ონკანიდან ისედაც არ მოდის და ხალხს წყალი ბიდონებით ენგურიდან მოაქვს, მანქანებით ეზიდებიან, ვისაც მანქანა ჰყავს. ოჯახს რამდენი წყალი სჭირდება, ხომ გესმით და რამდენი შრომა უწევს ქალს, რომ წყალს გაუფრთხილდეს და სისუფთავეც დაიცვას... ინფორმაციას ამ პრობლემის მოგვარების შესახებ კი არავინ გვაძლევს... სოფლის გამგებელს ვთხოვთ პასუხს, მაგრამ ის ვერაფერს აკეთებს. ვისაც შეეძლო, ჭა გააკეთა, მაგრამ იქაც შრება წყალი... საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით ათ ოჯახს მოუგვარეს პრობლემა, ჭა გაუთხარეს, მაგრამ თუ წვიმა არ არის, ჭაშიც არ არის წყალი, განსაკუთრებით მაღალ ადგილებში არ ამოდის. სკოლაში სამინისტრომ რეგულაციები რომ დაანესა, ამ პრობლემაზე იზრუნეს და ჭა ამოთხარეს. მაგრამ იქაც დაშრა წყალი და ისევ პრობლემა გვაქვს. ასევეა ბალიც, იქაც წყლის პრობლემა აქვთ“ (მ. მ., ქალი, 43 წლის, ფახულანი/წყოუმი).*

### 2.3.2. ეკონომიკური უსაფრთხოება

პანდემიის კრიზისით გამოწვეულ ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ პრობლემად გამოკითხულთა მესამედზე მეტი - **40,7%** - სამსახურების დაკარგვას და ეკონომიკური საქმიანობის აღდგენის შეუძლებლობას ასახელებს, რაც, კვლევის მონაცემების თანახმად, მწვავედ შეეხო საქართველოს კონტროლირებად, კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრებ მოსახლეობას (55%). განსაკუთრებული პრობლემა შეექმნა მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელთა ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებული იყო გალის რაიონთან (ვაჭრობა, სეზონური სამუშაოები, თხილის მოკრეფა და გასაღება, გამშვებ პუნქტზე ტვირთის გადაზიდვა და ა.შ.). გამშვები პუნქტის გადაკეტვამ კი უამრავი მათგანი ფაქტობრივად საარსებო წყაროს გარეშე დატოვა -

„მუშახელი ზუგდიდიდან გალში დადიოდა, არავის არ ჰქონდა პრობლემა. ვისაც საბუთი ჰქონდა, გადმოსასვლელად შეიკრიბებოდნენ და ქალები გადმოვიდოდნენ გალში და დღეში 30-40 ლარს იღებდნენ თხილის მობოჭვაში. ახლა არც იმათ არა აქვთ სამუშაო და არც იქ დარჩენილებს ჰყავთ დამხმარე“ (ი. ნ., ქალი, 47 წლის, ხურჩა).

„ჩემი ნაკვეთის გვერდით არის ჩემი მეზობლის თხილის პლანტაცია, თვითონ ეს ოჯახი ზუგდიდში ცხოვრობს და ყოველ წელიწადს, თხილის სეზონზე გადმოდიოდნენ „საზღვარს“, იღებდნენ თხილის მოსავალს და ჰყიდდნენ. ამითი ცხოვრობს აქ ხალხი, აბა, მეტი სხვა რა შემოსავალია. აქაური თხილით ირჩენდა ზუგდიდში ეს ოჯახი თავს. ახლა რა ხდება. დარჩნენ იქეთ, ვერ გადმოვიდნენ. დამირეკეს და მეხვეწებოდნენ, ვინმემ აიღოს მოსავალი, არ დაიკარგოს, თქვენ მაინც ისარგებლეთო. სადღაა ხალხი, მე ჩემი თხილი ძლივს მოვბოჭე. სხვისას რას მოვერეოდი. ასეა ყველა და დარჩა ეს პლანტაცია ისე. ღორებმა შეჭამეს მთელი მოსავალი, როცა თხილს ამხელა ფასი ადევს“ (მ. დ., ქალი, 64 წლის, ნაბაკევი).

„სანამ „საზღვარი“ დაიკეტებოდა, სამუშაო სულ იყო. ხალხს სულ გადმოჰქონდა ტვირთი ზუგდიდიდან. სულ მოძრაობა იყო და სამუშაოც იყო. სოფლის ძალიან ბევრი მაცხოვრებელი იყო ტვირთის გადაზიდვით დასაქმებული... „საზღვარი“ დაიკეტა და შემოსავალიც დაიკარგა“ (ნ. დ., ქალი, 30 წლის, ფახულანი).

„მეზობელი ქალი მყავს, რომელსაც ბიზნესი ჰქონდა გალში. ასეთი ბევრი იყო. ზუგდიდიდან დატვირთული მოდიოდა ხალხი, შემდეგ ეს პროდუქტები გალში გაჰქონდათ გასაყიდად და ჰქონდათ შემოსავალი. ახლა ეს ქალები ვერ მუშაობენ. ზოგს ნისიები აქვს დარჩენილი, ვერაფერს ვერ აკეთებენ“ (მ. ნ., ქალი, 55 წლის, ორსანტია).

სამსახურის დაკარგვამ გამოიწვია არა მარტო საარსებო წყაროს დაკარგვა, არამედ უამრავი თანმდევი პრობლემა დაუპირისპირა მოსახლეობას, მათ შორის გაზრდილი ფასები საკვებსა და მედიკამენტებზე -

„ჩემი და ჩემი ოჯახის წევრების სამსახურის დაკარგვა ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა... ეკონომიკის დახურვამ ორმაგად გაზარდა ფასები საკვებზე და მედიკამენტებზე, რაც ძალიან მძიმედ აისახა ჩვენზე... მყავს ორი მცირეწლოვანი და ძალიან გვიჭირს ასეთი ფასებით თავის გატანა“ (მ. ლ., ქალი, 37 წლის, სენაკი).

ერთ-ერთი ფოკუს-ჯგუფის მონაწილემ აღნიშნა, რომ ოჯახის წევრის მიერ სამსახურის დაკარგვამ საფრთხის ქვეშ დააყენა მისი მცირეწლოვანი შვილის ჯანმრთელობა -

„ჩემი ოჯახი ყველაზე მეტად დააზარალა კოვიდმა... ჩემი შვილის სამსახურის დაკარგვამ უამრავი პრობლემა შეგვიქმნა... შვილიშვილი მყავს პრობლემური, შშმ სტატუსი აქვს... სჭირდება სპეციალური მკურნალობა. მუდმივად უნდა იყოს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ჩემი შვილი და რძალი ქუთაისში ცხოვრობდნენ ქირით, ბავშვი რომ ექიმებთან ეტარებინათ... ბიჭი კარიერზე მუშაობდა ჯიმასტაროში. დაიწყო კორონას ამბავი, გაჩერდა მუშაობა, გამოუშვეს სახლში. ბინის ქირა ვერ იხადეს და სოფელში დაბრუნდნენ. სოციალური დახმარება მოხსნილი გვაქვს. როგორც კი ბიჭმა მუშაობა დაიწყო, მაშინვე მოუხსნეს. საბუთი

*არაფერი მისცა დამსაქმებელმა და ის დახმარებაც ვერ აიღო, მთავრობა რომ არიგებდა. ბავშვს აქვს ყოველთვიური დახმარება 50 ლარი, როგორც შშმ პირს, მაგრამ ეს თანხა რაში ეყოფა, როცა სპეციალური მედიკამენტები და მკურნალობა სჭირდება, რომელიც სულ უნდა მიიღოს“ (ნ. ტ., ქალი, 68 წლის, ხურჩა).*

საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი, ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან ერთად, სასურსათო უსაფრთხოებისთვის შექმნილ რისკებზეც საუბრობდა, რაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეწყვეტით იყო წარმოქმნილი. განსაკუთრებული სიმწვავეთ აღნიშნულ საკითხს კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები მოსახლეობა აყენებდა. რესპონდენტთა თქმით, შეზღუდვების ამოქმედების დროს გაუფრთხილებლად მოსახლეობის იზოლაციამ ისეთ პირობებში, როცა სიახლოვეს არ ჰქონდათ მაღაზიები და ზუგდიდში გადაადგილების საშუალება პროდუქტის და საყოფაცხოვრებო ნივთების საყიდლად, საკმაოდ დიდი გამოწვევის და საფრთხის წინაშე დააყენა ადამიანები -

*„მახსოვს, როგორ ჩაგვკეტეს, არც გაგვაფრთხილეს, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმოსვლას შეზღუდავენ... ვერაფრის ყიდვა ვერ მოვასწარი, ჩვენი მაღაზიები კი ცარიელი იყო... ნახევარზე მეტი ჩვენი ტრანსპორტი ისედაც არ მუშაობს და ხალხს დრო უნდა მისცე, რომ მოიმარაგოს პროდუქტი... ახლა თუ იგივეს იზამენ, დიდი დარტყმის ქვეშ დააყენებენ სოფლის მოსახლეობას... ტაქსის ფულის გადახდის შესაძლებლობა ვის აქვს სოფელში?“ (ნ. ბ., ქალი, 72 წლის, ხურჩა).*

კრიზისის შედეგად საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის შემცირებას მტკივნეულად განიცდის სოფელ ფახულანის მოსახლეობა. არ ფუნქციონირებს მუნიციპალური ტრანსპორტი. მხოლოდ კერძო სამარშრუტო ტაქსი ემსახურება სოფელს დღეში ერთხელ, კერძოდ კი, სოფლიდან ზუგდიდის მიმართულებით გამოდის დილის 8:30 და ბრუნდება საღამოს 5 საათზე. მოსახლეობის უმრავლესობა მიზმულია ქალაქ ზუგდიდს და გადაადგილების საჭიროება საკმაოდ მაღალია. ტრანსპორტის შეზღუდული მოძრაობის გამო ადამიანებს ხშირ შემთხვევაში ქალებსა და ბავშვებს, უწევთ საღამოს 5 საათამდე ზუგდიდის სადგურში ლოდინი. გადაუდებელ შემთხვევაში კი ტაქსის დაქირავება, რაც ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფთ, კიდევ უფრო მძიმე ფინანსურ ტვირთად აწევბა -

*„მთელი სოფელი ერთი მარშრუტკის იმედად დავრჩით. პანდემიის შემდეგ საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც დღეში რამდენჯერმე გადიოდა ზუგდიდის მიმართულებით, დღეში ერთხელ დადის... ეს ხელს უშლის მოსახლეობას ბევრ სხვადასხვა სიტუაციაში... ქალებს სოფლის ნაწარმი გააქვთ ზუგდიდში და გზა ორმაგი უჯდებათ, რადგან უწევთ ხშირად ტაქსით სარგებლობა“ (დ.რ., ქალი, 57 წლის, ფახულანი).*

საზოგადოებრივი ტრანსპორტის სრულად შეჩერებამ კიდევ უფრო გაართულა სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა -

*„რამე რომ დავგჭირდეს - პროდუქტის ყიდვა, ბაზარში საქონლის გატანა, სხვა გზა არ გვრჩება, გარდა ტაქსის დაქირავებისა... ისედაც რთულ დღეში ვიყავით, როცა დღეში ერთხელ გვემსახურებოდა მარშრუტკა, დღეს კი საერთოდ უსაშველო გახდა ჩვენი მდგომარეობა, პროდუქტს ვერ იყიდი... რა უნდა ივაჭროს დღეს გლახმა, ან რა უნდა დარჩეს, თუ ტაქსით მგზავრობა მოუწევს... რთულ დღეში ჩავვარდით...“ (ტ. ლ., ქალი, 62 წლის, ფახულანი).*



საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვა საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს ქალაქში მცხოვრები მოსახლეობისთვისაც, განსაკუთრებით იმ ნაწილისთვის, ვისაც მიუხედავად შეზღუდვებისა, უნევს სამსახურში ფიზიკურად გადაადგილება -

*„ყველაზე ნეგატიურად ჩვენს ოჯახზე იმოქმედა შიდა ტრანსპორტის გაჩერება. ეს არის ძალიან ცუდი, იმიტომ, რომ სამსახურამდე საკმაოდ შორი მანძილის ფეხით გავლა გვინევს... ჩემი ქმარი საცხოვრებელში მუშაობს, ტრანსპორტი რომ აიკრძალა, ღამე ფეხით უნევს სიარული, თან უნდა მოასწროს, კომენდანტის საათის გადამკიდე... ტაქსებით სიარული ვის შეუძლია და ეს აკრძალვა ძალიან შეეხო ჩემს ოჯახს“ (მ. ნ., ქალი, 32 წლის, ლანჩხუთი).*

### 2.3.3 განათლების უსაფრთხოება

COVID-19-ის გავრცელებასთან ერთად, საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ონლაინ სწავლებაზე გადასვლამ უამრავი ტექნიკური და ემოციური პრობლემა შექმნა ოჯახებში. ონლაინ სწავლებისთვის მოუმზადებელ მოსახლეობას გაუჭირდა ონლაინ/დისტანციურ განათლებაში შვილების სრულფასოვნად ჩართვა. ამას მკაფიოდ მოწმობს ისიც, რომ კვლევაში მონაწილე პირებმა ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად ჯგუფს შორის „მოსწავლეები“ დააფიქსირეს - 45,1%, ხოლო ამოქმედებული შეზღუდვებიდან ყველაზე რთულად გასამკლავებელი მათთვის სასწავლო პროცესის შეჩერება და დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა აღმოჩნდა - 38%. აღნიშნული პრობლემა ყველა სამიზნე მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის თითქმის თანაბრად მტკივნეულია. რესპონდენტთა ნაწილი აღნიშნავს დისტანციური განათლების საკმაოდ სუსტ ხარისხს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ბავშვებისთვის განათლების მაღალი სტანდარტის მიწოდებას. ეს კი, თავის მხრივ, საკმაოდ ნეგატიურ გავლენას ახდენს როგორც მშობლების ემოციურ მდგომარეობაზე, ასევე თავად ბავშვებზე -

*„მთავარი პრობლემა ჩვენთვის დისტანციური სწავლებაა, რომელიც არ არის გამართული... ჩემს შვილიშვილებს დამატებით უნევთ მასწავლებელთან მომზადება, რომ ეს დეფიციტი შეივსონ... სამი ბავშვი რომ დამატებით მოემზადება, ოჯახისთვის რამხელა ხარჯია. ჩემი ბიჭი საზღვარგარეთ არის და რასაც შოულობს, ამ მეცადინეობებში იხარჯება“ (მ. კ., ქალი, 65 წლის, ლანჩხუთი).*

*„მთავარი პრობლემა ჩემთვის დღემდე განათლების სისტემაა, ხოლო დისტანციურმა სწავლებამ კიდევ უფრო საშინელი მდგომარეობა შექმნა. ვფიქრობ, მთლიანად გაუმართავი და მოუნესრიგებელია სისტემა. კომპიუტერი კი გვაქვს, მაგრამ მაინც გვიჭირს, არ არის ეს სფერო დალაგებული. არსებული პრობლემების გამო ძალიან ვიძაბებით, ეს განწყობა გადმოდის ოჯახზე, ქალებზე განსაკუთრებით“ (მ. გ., ქალი, 42 წლის, ქუთაისი).*

*„ბავშვებს ისეთი ფსიქოლოგიური სტრესი აქვთ, ამის აღდგენას დიდი დრო დასჭირდება, პირველკლასელებს განსაკუთრებით გაურთულდათ სიტუაცია... პედაგოგებს არ იცნობენ და სულ სხვა განზომილებაში არიან, ძალიან რთულია მათთვის ადაპტაცია“ (ქ. დ., ქალი, 42 წლის, ქობულეთი).*

ზუგდიდის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში, გამყოფ ზოლთან მდებარე სოფლებში მცხოვრებმა მოსახლეობამ ხარისხიანი განათლების მისაღებად ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბარიერად სოფლებში ინტერნეტის სუსტი დაფარვა და ინტერნეტ მომსახურების მაღალი საფასური დაასახელა. ცხოვრების დისტანციურ რეჟიმში გადასვლის პირველივე დღეებიდან აღნიშნული საკითხის არაერთხელ წამოწევის მიუხედავად, ის კვლავ გადაუჭრელ და პრობლემურ საკითხად რჩება მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის. გარდა იმისა, რომ სოფლებში არ არის ძლიერი ინტერნეტ დაფარვა, არსებულიც ლიმიტირებულია დროში, ხოლო ულიმიტო ინტერნეტის ჩართვა საკმაოდ მაღალ სახსრებთან არის დაკავშირებული, რომლისთვის მასწავლებლებს ცალკე არაფერ უხდის თანხას. მასწავლებლების ნაწილი აღნიშნავს, რომ განათლების სამინისტრომ გაცილებით ქმედითი როლი უნდა ითამაშოს, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის ხარისხიანი სასწავლო პროცესის შესაბამისი პირობების შექმნისთვის - ინტერნეტით და შესაბამისი ტექნიკით უზრუნველყოფა და პროცესის გასამართად მხარდაჭერის განევა. დღეს კი პრაქტიკულად მთელი პასუხისმგებლობა და სირთულეების ტვირთი სრულად მასწავლებლის და მშობლის ზურგზეა გადატანილი -

*„ჩვენთვის, პედაგოგებისთვის მთავარი გამოწვევა იყო ონლაინ სწავლება. ინტერნეტ ქსელის არარსებობამ სოფელში ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა. ისევ იგივე პრობლემები გვაქვს, არაფერ იფიქრა ჩვენზე, არაფერი არ შეიცვალა“ (მ.ს., ქალი, 53 წლის, ფახულანი).*

*„დისტანციური სწავლება ისე რთულად მიდის, დავიტანჯეთ ცალკე ბავშვები, ცალკე - პედაგოგები... ამას ხმამღლა ვერ იტყვი, ყველაფრის პასუხისმგებლობა ჩვენ აგვიდებს (პედაგოგებს). თუ ცუდად ჩატარდა ონლაინ სწავლება, ესე იგი პედაგოგმა ვერ იმუშავა კარგადო. რა ქნას პედაგოგმა, როცა ბავშვს ინტერნეტი არ აქვს, რა ქნას პედაგოგმა, რომელსაც ასევე შეზღუდული აქვს ინტერნეტი“ (მ. დ., ქალი, 47 წლის, წყოუში).*

გამოკითხულთა ნაწილი აღნიშნავს, რომ სასწავლო პროცესში ჩასართავად ერთ-ერთი ბარიერი ოჯახებში შესაბამისი ტექნიკის („სმარტ“ ტელეფონების, კომპიუტერების) სიმწირე და არსებული ტექნოლოგიების არარსებობაა. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, როცა ოჯახში ერთზე მეტი შვილია. არასაკმარისი მოწყობილობების გამო ბავშვები ვერ ახერხებენ ერთდროულად სასწავლო პროცესში ჩართვას. ასევე პრობლემას წარმოადგენს ოჯახებში შესაბამისი სივრცის/ოთახების არასაკმარისი რაოდენობა, სადაც ბავშვებს არ აქვთ ოჯახის სხვა წევრებისგან განცალკევებულად მეცადინეობის შესაძლებლობა.

მასწავლებელთა ნაწილმა განსაკუთრებით გამოყო არსებული სასწავლო პლატფორმების გამოყენებისთვის სათანადო ხარისხის ტექნიკის არარსებობა და არასაკმარისი უნარ-ჩვევები, როგორც ბავშვებში, ასევე თავად პედაგოგებში, რასაც ასევე არაჯეროვანი ყურადღება ენიჭება განათლების სამინისტროს მხრიდან -

*„ჩვენ არ გვაქვს სკოლაში ისეთი ტექნიკური მოწყობილობა, რომ ყველა პედაგოგმა მოახერხოს თიმის პროგრამის მოხმარება, ბავშვებზე აღარც ვამბობ... არაფერი არ იზრუნა შესაბამისი ტექნიკით ჩვენს აღჭურვაზე და დატრენინგებაზე... ამას თან ერთვის სუსტი ინტერნეტი. ეს ყველაფერი უკავშირდება ჩვენს ემოციებს, ვნერვიულობთ, როცა არ გამოდის ჩართვა, მოკლედ, ძალიან ვწვავლობთ. თანაც, როცა ამ ყველაფერს აკვირდებიან და გაკონტროლებენ, კიდევ უფრო შემანუხებელია... იმის მაგივრად, რომ შესაბამისი დახმარება და პირობები შეგიქმნან, თითქოს გისაფრთხილებინ“ (მ. მ., ქალი, 43 წლის, პედაგოგი, ფახულანი).*

განსაკუთრებით გამოიყო გამშვები პუნქტის ახლოს, გალის რაიონში მდებარე სოფლების მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართვის პრობლემა, რომლებიც დღემდე მიზმულნი არიან საქართველოს განათლების სისტემას - განსაკუთრებით მწვავედ დგას პრობლემა სოფელ საბერიოში მცხოვრები მოსწავლეებისთვის, რომლებიც ირიცხებიან და სწავლობენ სოფელ ფახულანის საჯარო სკოლაში (დაახლოებით 16-17 მოსწავლე). იგივე პრობლემის წინაშე დგანან სოფელ ნაბაკევიში მცხოვრები მოსწავლეები, რომლებიც გადმოდინდნენ და სწავლობდნენ სოფელ კოკის საჯარო სკოლაში. პრაქტიკულად არ განხორციელებულა არანაირი ქმედითი მხარდაჭერა განათლების სამინისტროს მხრიდან ამ ბავშვებისთვის, სასწავლო პროცესში მათი ჩართვის და შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფის მიმართულებით (მაგ., ინტერნეტ ბარათების შესყიდვა ან შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა). აღნიშნულ პრობლემაზე რეაგირება და მოსწავლეებისთვის შესაბამისი ტექნიკის შესყიდვა და ინტერნეტ ბარათებით უზრუნველყოფა დღეს, ძირითადად, ცალკეული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით ხერხდება, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით.

გამოკითხულ პედაგოგთა მტკიცებით, აღნიშნულ პრობლემას ასევე ართულებს მასწავლებლებისთვის ზეგანაკვეთური მუშაობის სახით საკმაოდ რთული პირობების წაყენება. მასწავლებლების ნაწილი აღნიშნავდა, რომ სკოლების ფუნქციონირების და ჰიბრიდული სწავლების პერიოდში მათ დაევაღათ სკოლაში გაკვეთილების დასრულების შემდეგ დამატებით ზეგანაკვეთურად დისტანციურად გაკვეთილების გაგრძელება საბერიოს სოფლის მოსწავლეებთან, რომელთა გადაადგილება ვერ ხერხდებოდა ჩაკეტილი გამშვები პუნქტის გამო. აღნიშნულ პრობლემას გამოკვეთილი გენდერული პარამეტრი აქვს, რადგან მასწავლებელთა სრული უმრავლესობა სოფლის სკოლებში ქალები არიან, რომლებიც არა მარტო ვერ ახერხებდნენ შექმნილი პირობების გამო საკუთარი ოჯახებისთვის ყურადღების მიქცევას, ასევე ყოველგვარი დამატებითი ანაზღაურების გარეშე არიან ჩართულნი ზეგანაკვეთური გაკვეთილების ჩატარებაში -

*„ძალიან მოუმზადებელი შეხვდა სამინისტრო ამ პრობლემას. საბოლოოდ ყველაფერმა პედაგოგების მხრებზე გადაიარა. დამატებითი გაკვეთილები ძალიან რთული აღმოჩნდა. უკვე ბევრმა პედაგოგმა თქვა, რომ არ გავაკეთებთ. ფინანსური ანაზღაურებაც არ არის გათვალისწინებული დამატებითი საათებისთვის. ამხელა დამატებით საქმეს პედაგოგებს არ უნდა სთხოვდნენ, მით უმეტეს - ყოველგვარი პირობების შექმნის გარეშე. თუ არადა, ეს უნდა იყოს კეთილი ნება და ჩარჩოებიც არაა საჭირო. ყველა გაკვეთილს 4-დან 7-მდე უნდა მოვრჩე, რაც ძალიან რთულია სოფელში ცხოვრების დროს, როცა ოჯახები გვყავს და შვილებიც... მე როცა შემეძლება, მაშინ ჩავატარებ. მინდა შაბათ-კვირას, მინდა - 8 საათზე. ჩვენზე მეტად არავის ეცოდება ეს ბავშვები და ამას ისედაც გავაკეთებდით, ამხელა კონტროლის გარეშე“ (ნ. გ., ქალი, 47 წლის, ფახულანი).*

*„სამ საათამდე სკოლაში ვართ. ძირითად გაკვეთილებს რომ დავამთავრებ, მერე მივდივარ სახლში და მისვლისთანავე ვინყებ ჩართვას 4-5-6 საათის მონაკვეთში. შვიდს არ უნდა გადავაცილოთ. მოგეხსენებათ, სოფელში რამდენი საქმეა, საქონელი, ფრინველი, ყველაფერი მისახედა და სწორედ ამ დროს უნდა მოვასწროთ გაკვეთილების ჩატარება, თან გვაკონტროლებენ... ქალებისთვის ეს როგორი დატვირთვაა, ჩვენ ხომ ყველაფერი უნდა მოვასწროთ“ (ლ. დ., ქალი, 52 წლის, ფახულანი).*



ცხადია, რომ პანდემიის პირობებში დისტანციური თუ ჰიბრიდული სწავლებისთვის მოუმზადებლობამ, მოსწავლეებისთვის ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესის ხელმიუწვდომლობამ, ასევე სასწავლო პროცესის წარსამართად შესაბამისი პირობების არარსებობამ უამრავი ემოციური პრობლემა შექმნა ოჯახებში. ეს კი ძალიან ხშირად სტრესში ან აგრესიაში ვლინდება, რაც თავის მხრივ ოჯახში კონფლიქტების და ძალადობის მიზეზად იქცევა.

### 2.3.4. ფიზიკური უსაფრთხოება

უამრავი შეზღუდვით გამონვეულმა გართულებულმა ეკონომიკურმა და ფსიქოემოციურმა ფონმა, ოჯახურ საქმიანობაზე ქალთა გაზრდილმა პასუხისმგებლობამ, შვილების სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვის გართულებამ, საბაზისო სერვისებისადმი ხელმიუწვდომლობამ მნიშვნელოვნად დაამძიმა ქალების მდგომარეობა ოჯახებში, რაც ხშირად აგრესიით, კონფლიქტებით და ძალადობის სახით ვლინდება. ამას ადასტურებს კვლევის მონაცემები, რომლის თანახმად, გამოკითხულთა მესამედის (33,1%) აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გამოიწვია პანდემიამ, არის „სტრესი და ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც იწვევს ოჯახში კონფლიქტებს/ძალადობას“, ხოლო 41,3% თვლის, რომ დღევანდელ პირობებში ერთ-ერთი ყველაზე მონყვლადი კატეგორია, რომლის მდგომარეობა საგანგაშოა, არიან „ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები“ -

*„შიში და გაურკვეველობა მთელს ქვეყანაში და ასეა ოჯახებშიც. ქალებს არა აქვთ უკვე იმდენი ენერჯია, რომ ფსიქოლოგიური ომი მოიგონ. როცა გაღიზიანებული ხარ, ვერ ისაუბრებ ნორმალურად, ვერ იცხოვრებ მშვიდად და იძულებული ხდები, ხმას აუწიო, გაბრაზდე და იწყება კონფლიქტები“ (ნ. ს., ქალი, 37 წლის, ქუთაისი).*

*„ჩვენს ირგვლივ პანდემიამ ისეთი გარემო შექმნა, რომ კონფლიქტების გარეშე ვერ იცხოვრებ. განსაკუთრებით ეკონომიკური სირთულეები შექმნა. დოლარმა აინია, გაძვირდა საკვები, წამლები. ერთ დღეს რომ იყიდი, მეორე დღეს იმ პროდუქტის ფასი საგრძნობლად გაზრდილია. ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ, ყველაფერს ვერ გათვლი, წინააღმდეგობები გვხვდება ყოველი ფეხის ნაბიჯზე და ეს ხელს უწყობს ოჯახში კონფლიქტების მატებას“ (ც. დ., ქალი, 47 წლის, წყალტუბო).*

*„პანდემიამ ნორმალურ, სტაბილურ ოჯახებში დაანგრია ურთიერთობა, წარმოდგენაც არ მინდა, როგორ ცხოვრობენ ერთად მსხვერპლი და მოძალადე. ახლა, როცა მთელი ქვეყანა კოვიდზე ფიქრობს და 112 მხოლოდ კოვიდდაავადებულებს ემსახურება, რომელი ქალი მოითხოვს დახმარებას ძალადობაზე. არავინ, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ აზრი არა აქვს დარეკვას. ეს ძალიან შემაშფოთებელია, ვიღაცა მოითმენს იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა, ვიღაცა ვერ მოითმენს და ცუდი შედეგები გვექნება“ (მ. კ., ქალი, 57 წლის, სენაკი).*

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტები ხშირად ოფიციალური სტატისტიკის მიღმა რჩება, რადგან მსხვერპლთა უმრავლესობა დუმის არჩევს. ერთი მხრივ, ეს განპირობებულია პოლიციის და მხარდაჭერის არსებული სერვისების მიმართ უნდობლობით. ნაწილს არ აქვს იმედი, რომ ძალადობრივი გარემოს დაღწევის შემდეგ მსხვერპლი ისეთ დახმარებას მიიღებს, რაც შეაძლებინებს დამოუკიდებელი



ცხოვრების გაგრძელებას, განსაკუთრებით შვილებთან ერთად. ნაწილი კი თვლის, რომ პანდემიის პირობებში მისთვის არავის სცალია, ან ფიქრობს, რომ მაშინ, როცა ადამიანებს უწევთ სიცოცხლისა და სიკვდილის ზღვარზე ყოფნა, მორალური უფლება არ აქვს, საკუთარ პრობლემაზე და ოჯახში განვითარებულ კონფლიქტებზე და ძალადობაზე ისაუბროს.

ეს დასტურდება შსს-ს სტატისტიკური მონაცემებით, რომლის თანახმად, მკაცრი კარანტინის და საგანგებო მდგომარეობის პერიოდში (მარტი-მაისი), ოჯახში ძალადობის მატების მკვეთრი ტენდენცია არ დაფიქსირებულა. მარტიდან აგვისტომდე შემაკავებელი ორდერების ყველაზე მცირე რაოდენობა დაფიქსირდა აპრილში, როცა მოქმედებდა ყველაზე მკაცრი კარანტინი - გამოიცა 370 შემაკავებელი ორდერი, ხოლო ყველაზე მეტი აგვისტოში - 550 ორდერი, როცა შეზღუდვები მეტ-ნაკლებად მოიხსნა.<sup>3</sup> აღნიშნული ცხადყოფს, რომ იზოლაციის დროს მსხვერპლი ყველაზე ნაკლებად მიმართავდა დახმარებას -

*„პოლიციაში დარეკვა არ არის პრობლემა. რომ დარეკავ, უნდა ნახვიდე თავშესაფარში, იქიდან რომ გამოხვალ, მერე სად მიდიხარ? ისევ უკან უნდა დაბრუნდე, ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში არავინ არ დარეკავს“ (მ. პ., ქალი, 42 წლის, ზუგდიდი).*

*„112 ყველა ქალმა იცის, მაგრამ ახლა, პანდემიის დროს ამ ზარზე არავინ გიპასუხებს... და არც არავინ დარეკავს ძალადობის საკითხზე... არ ვიცი, პოლიციას რა სტატისტიკა აქვს, მაგრამ ახლა ძალადობის მსხვერპლი ნამდვილად არასახარბიელო სიტუაციაშია, რომელმაც უნდა ითმინოს, მეტი სხვა გზა არ დარჩენია. მარტივად რომ ვთქვათ, მისთვის ახლა არავის არ სცალია“ (თ. გ., ქალი, 32 წლის, კახათი).*

არსებული გამოწვევის საპასუხოდ, მნიშვნელოვანია აქტიური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისების გაძლიერება და მათ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგება.

საგულისხმოა, რომ ფოკუსირებული დისკუსიის დროს რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს ადგილობრივი თვითმმართველობის განსაკუთრებულ როლს ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდასაჭერად როგორც მუნიციპალური მსხვერპლთა სერვისების გაძლიერების და გაფართოების, ასევე მათ შესახებ მოსახლეობის უფრო მეტად ინფორმირების თვალსაზრისით -

*„მხოლოდ პანდემიის დროს არა, ნორმალურ პერიოდშიც ნაკლებად მიმართავდა ქალი დასახმარებლად პოლიციას. ეს მისთვის არასასურველი გზაა ბევრი მიზეზის გამო... ყველაზე კარგი ის იქნებოდა, თვითმმართველობას უკეთესი პროგრამები რომ ჰქონდეს მსხვერპლთა დასახმარებლად. მეტი ფინანსური დახმარება რომ არსებობდეს მსხვერპლის გასაძლიერებლად... ასევე ხალხმა მეტი უნდა იცოდეს ამ დახმარებების შესახებ, მაშინ გაიზრდებოდა მიმართვიანობა“ (ბ. ჯ., ქალი, 42 წლის, ოზურგეთი).*

კვლევის მონაცემებით გამოიკვეთა პანდემიით გამოწვეული ძალადობის ახალი ფორმა - კოვიდინფიცირებულთა ან ინფიცირების მაღალი რისკის მქონე პირების სტიგმატიზირება, რაც საზოგადოების მხრიდან ოჯახის წევრების მიერ ადამიანზე ფსიქოლოგიური წნეხით და გარიყვით გამოიხატება -

<sup>3</sup> შინაგან საქმეთა სამინისტრო - სტატისტიკა

„ჩემი მეგობარი ქალი მუშაობს ბაზრობაზე ფეხსაცმელების სექციაში. ამ სექციაში ბევრს დაუდასტურდა კოვიდი. ცოლ-ქმარმა სერიოზულად იჩხუბა ამის გამო. ქმარი ემუქრება ცოლს: „იცოდე, თუ შენც კოვიდი დაგიდასტურდება, სახლში არ შემოგიშვებო“. ცოლი ეუბნება: სახლში რომ დავჯდე, ჭამა ხომ გვინდაო. მაგი არაა ჩემი საქმეო. ამას ძალადობას არ ვეძახით, მაგრამ ამაზე მეტი ზენოლა თუ არსებობს? იმუშავე, მაგრამ არ შემოიტანო ვირუსი სახლში, რა მიმართავა საერთოდ“ (მ. კ., ქალი, 54 წლის, ქუთაისი).

„სანამ პირველი სიმპტომები გამომიჩნდებოდა, ეზოში ქალებმა ჩუმად მითხრეს: „არ მიეკარო მეოთხე სართულს, კოვიდი აქეთ. თან ფანჯარა ჰქონდათ გამოღებული დღეს, ხომ არ უნდა, მეზობლებს გადადონო“. ორ დღეში მეც დამიდასტურდა და მთელი 12 დღე, სანამ მდგომარეობიდან გამოვედი, მეჩვენებოდა, რომ ჩემზეც სწორედ ასე აგრესიულად მიანიშნებდნენ. გეფიცებით, ფანჯარას ღამე ჩუმად ვაღებდი, ჰაერი რომ ჩამეყლაპა... მეშინოდა, ვინმეს სხვანაირად არ ეფიქრა და არ დავეძრახე“ (დ. ჯ., ქალი, 48 წლის, ხონი).

„როცა პასუხი მივიღე, შედარებით ნორმალურად აღვიქვი. წამიყვანეს კლინიკაში და შევეცადე, მშვიდად ვყოფილიყავი. ჩემი სიგიჟე დაინყო მეორე დღიდან, როცა ჩემს ტელეფონზე არ წყდებოდა ზარები: ვაიმეეე, კოვიდი დაგიდასტურდააა? უუუი, ან რა უნდა ქნა? მე მესმის, რომ საგანგაშოა ეს ამბავი, მაგრამ არ მესმის, რატომ ამდენი ვაიმე და ვუიმე. ამის მერე გავხდი უფრო ცუდად, რადგან ძალიან დავითრგუნე და მეგონა, ნორმალურ ადამიანად არ აღმიქვამდნენ. ეს არ არის მხარდაჭერა, ეს არ არის ნორმალური დამოკიდებულება“ (ქ. დ., ქალი, 36 წლის, ხონი).

## 2.4. გალის რაიონი - გამშვები პუნქტის დაკეტვის გავლენა მოსახლეობის ადამიანურ უსაფრთხოებაზე

გალის რაიონში მცხოვრები მოსახლეობა, აფხაზეთში და საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით, ერთ-ერთ ყველაზე მონყვლად ჯგუფს წარმოადგენს. ენგურს გაღმა მდებარე გალის რაიონი უმეტესწილად ქართველებით კომპაქტურად დასახლებული ადგილია, რომელსაც საქართველოსგან მდინარე ენგური ჰყოფს, რაც ბუნებრივ გამყოფ ზოლს ქმნის. ოფიციალური მონაცემებით, დღესდღეობით გალის რაიონში 45 000 ქართველი ცხოვრობს, რომელთაგან 3000-დან 5 000-მდე მუდმივად გადაადგილდება გალსა და ზუგდიდს შორის.<sup>4</sup>

ეს არის მოსახლეობა, რომელმაც მის ცხოვრებაზე კონფლიქტით გამოწვეული მძიმე შედეგების მიუხედავად, მაინც მიიღო გადაწყვეტილება, დაბრუნებოდა საკუთარ კერას და დღეს არსებული უამრავი გაჭირვების, უსამართლობის, პოლიტიკური თუ სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის მიუხედავად, ინარჩუნებს საქართველოს მოქალაქეობას და არ თმობს მას. გალის რაიონის მკვიდრნი საკმაოდ მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი საქართველოს სხვა ნაწილთან, ეკონომიკური საქმიანობით თუ ნათესაური კავშირებით.

4 Human Rights Watch, “Living in Limbo, the Rights of Ethnic Georgian Returnees to the Gali district of Abkhazia”, 2011, p. 22, available at <https://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/resources/georgia0711LR.pdf>

პანდემიის შედეგად გამშვები პუნქტის გადაკეტვამ, რაც მათ ცხოვრებაში სასიცოცხლო არტერიას წარმოადგენს, პრაქტიკულად იქ მყოფი ადამიანები არსებული მდგომარეობის მძველებად გახდა და 2020 წლის თებერვლიდან დეკემბრამდე ჩაკეტილები, უამრავი გამოწვევის წინაშე დააყენა. აღნიშნულზე მეტყველებს წინამდებარე კვლევის რაოდენობრივი მონაცემებიც, რომელთა თანახმად, პანდემიის და შეზღუდვების შედეგად „სიცოცხლის უკიდურესად გაუარესებას“ ხაზს უსვამს სწორედ გალის რაიონის მონაწილეების 95% და ზუსტად იგივე რაოდენობა აღნიშნავს, რომ დღემდე ვერ ახერხებს ცხოვრების ჩვეული რიტმის აღდგენას. გალში მცხოვრები მოსახლეობის დამოკიდებულება ამოქმედებული შეზღუდვების გამო საკმაოდ მკაცრი და კრიტიკულია -

*„მტერს არ ვუსურვებ, ისეთ დღეში აღმოვჩნდით - არა საჭმელი, არა ნამალი. არანაირი ინფორმაცია. შიში. მართლა ღმერთის იმედად ვართ... ჩვენ გალიაში აღმოვჩნდით, სადაც მხოლოდ ჰაერი გვაქვს“ (მ. ლ., ქალი, 68 წლის, ნაბაკევი).*

*„რა საჭირო იყო „საზღვრის“ გაფრთხილების გარეშე ამდენი ხნით ჩაკეტვა?! რა ჰქვია ამ მდგომარეობას, უმძიმესი. არ ვიცი, არაფერი მახარებს, არაფრის იმედი არ მაქვს“ (მ. ს., ქალი, 46 წლის, საბერიო).*

აფხაზეთთან გამშვები პუნქტის ჩაკეტვამ, სერვისების მისაღებად გალიდან გადმოსული მოსახლეობის საკარანტინე სივრცეებში სავალდებულო მოთავსების მოთხოვნის დაწესებამ ბევრი ბარიერი და პრობლემა შექმნა მოსახლეობის ცხოვრებაში, საფრთხე შეუქმნა მათ სასურსათო, ჯანმრთელობის, ეკონომიკურ, ფიზიკურ და სხვა სახის ადამიანურ უსაფრთხოებას.

კვლევაში მონაწილეთა დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ გამშვები პუნქტის გადაკეტვამ უპირველესად გავლენა მათ სასურსათო უსაფრთხოებაზე მოახდინა, რადგან გალის მოსახლეობა, ძირითადად, მარაგდებოდა ზუგდიდის და საქართველოს სხვა ტერიტორიებიდან ჩამოტანილი პროდუქტებით. მას მერე, რაც მიმოსვლა შეწყდა, ფასები პროდუქტებზე საგრძნობლად გაიზარდა:

*„ყველაფერი ჩვენს ცხოვრებაში რადიკალურად ცუდად შეიცვალა. საშინელი სიძვირეა გალში. ახლა მეტყვით, ყველგან გაძვირდა პროდუქტებით, არა, ბატონო. მთელი გალი საქართველოდან შესული პროდუქტებით მარაგდებოდა და ამიტომაც იაფი იყო შედარებით ყველაფერი. ახლა ფასები ორმაგი კი არა, ოთხმაგი გახდა. ასეა, როცა საქონელი არ შემოდის. ვის შეუძლია ასე იარსებოს“ (მ. დ., ქალი, 54 წლის, ნაბაკევი).*

საკმაოდ დიდი რისკი შეექმნა მოსახლეობის ეკონომიკურ უსაფრთხოებასაც, რადგან გამშვები პუნქტის ჩაკეტვის შემდეგ ადამიანებს შეუწყდა ეკონომიკური საქმიანობის საშუალება, რომელსაც, ძირითადად, ზუგდიდში ეწეოდა. ასევე ვერ შეძლო თხილის მოსავლის რეალიზაცია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, სადაც ფასი აფხაზეთთან შედარებით გაცილებით მაღალია, რამაც იძულებული გახდა, თხილი სამჯერ ნაკლებ ფასად გაეყიდა ადგილზე. აღნიშნულმა საკმაოდ მძიმე გავლენა მოახდინა მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან სწორედ თხილი წარმოადგენს გალის რაიონის მოსახლეობის შემოსავლის ძირითად წყაროს -

*„სოფელში ყველას უჭირს. აქედან თითქმის ყველა ზუგდიდში გადადიოდა... ოჯახიდან რამდენიმე წევრი ზუგდიდში ვაჭრობდა ან სამსახურები ჰქონდათ. აქ „საზღვარზე“ ბევრი ტვირთის გადაზიდვაზე მუშაობდა, მანქანებით გადაჰქონ-*



დათ, როგორც ტაქსებს. ახლა ყველაფერი გაჩერდა. თხილი ჩვენთან არაფერი არ არის, რამდენი ტონაც არ უნდა გქონდეს, ისეთი დაბალი ფასი აქვს, მიღებული ფული არაფერს არ ნიშნავს. 2 ლარად იბარებენ. როცა ზუგდიდში, მაგალითად, 8-9 ლარია. ბიზნესმენებისთვის გახსნეს თითქოს კორიდორი და გააქვთ თხილი ზუგდიდისკენ. მაგრამ ამას კერძო პირი ვერ გააკეთებს. იმ ბიზნესმენებს ყველას ჰყავს პატრონი, ისე კორიდორს არავინ არ გაგიხსნის. ჩვეულებრივი ადამიანი ამას ვერ იზამს და იძულებულია ისევ 2 ლარად ჩააბაროს“ (ფ. კ., 30 წლის, ქალი, საბერიო).

მწვავედ დგას ჯანმრთელობის უსაფრთხოების საკითხი. მაშინ, როცა შედარებით დარეგულირებულია და არსებობს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე გალიდან გადაუდებელი პაციენტების ტრანსპორტირების შესაძლებლობა, ფაქტობრივად შეუძლებელია გეგმიური პაციენტების გადაადგილება და საქართველოს მოქმედ კლინიკებში მკურნალობა კარანტინის გავლის გარეშე, რაც განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ქალებისთვის, რომლებსაც უჭირთ დიდი ხნით საკუთარი ოჯახების, შვილების და ოჯახის ხანდაზმული წევრების მიტოვება.

სამედიცინო სერვისების ხელმიუწვდომლობის გამო გალის რაიონის მოსახლეობა იძულებული გახდა, ისარგებლოს გალში არსებული სამედიცინო მომსახურებით, რაც, მათი თქმით, არც სათანადოდ არის აღჭურვილი და არც შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალითაა დაკომპლექტებული -

*„ორივე ბავშვი ასთმიანი მყავს და ვერ ვიღებთ კონსულტაციას ექიმისგან. უფროს გოგოს ალერგიული გამონაყარი აქვს, კანქვეშ გრძნობს ჩხვლეტას და მერე უსივდება. ამ ყველაფერს სჭირდება გამოკვლევა, „საზღვარს“ ვერ გადავდივართ, რომ სადმე კარგ ექიმთან მივიყვანო. ჩემი ჯანმრთელობის გამოც ექიმი ხშირად მჭირდება, ჩვენთან ახლოს არის ჩელალის საავადმყოფო, მაგრამ ჩვენ იქ არასოდეს ვყოფილვართ. ვინც მივიდა, არავინ არ არის კმაყოფილი. არ ჰყავთ კარგი პერსონალი... მაინც გალში გვინწევს წასვლა და იქაც არ არის სათანადო აღჭურვილობა და სპეციალისტები“ (ლ. ტ., ქალი, 32 წლის, საბერიო).*

*„ოპერაცია გავიკეთე კორონამდე, მერე „საზღვარი“ მალე ჩაკეტეს. ექიმთან ყოველ სამ თვეში უნდა მივსულიყავი. ეჭვი ჰქონდათ ონკოლოგიაზე და საშვილოსნო ამომაჭრეს. ახლა არ ვიცი, რა ხდება ჩემს სხეულში. იქნებ სიმსივნე მაქვს აფეთქებული, სად უნდა წავიდე, ვინ მიშვებს“ (მ. ს., ქალი, 47 წლის, საბერიო).*

*„მე, მაგალითად, საოპერაციო ვარ, საშვილოსნოს მიომა მაქვს და ვემზადებოდი ოპერაციისთვის, ანალიზები გაკეთებული მქონდა, გამოკვლევები ჩავიტარე და უნდა წავსულიყავი საოპერაციოდ. წამოვედი სახლში, ჩემი ნივთები უნდა მომემზადებინა. რამდენიმე დღეში საერთოდ ჩავიკეტეთ. ახლა რა მდგომარეობაშია ჩემი საშვილოსნო, არ ვიცი, იქნებ რამე უბედურებაც მჭირს... ვარ ასე, აბა რა ვქნა?“ (ქ. ნ., ქალი, 56 წლის, ნაბაკევი).*

სამედიცინო მომსახურებაზე ხელმიუწვდომლობას ემატება როგორც მედიკამენტებზე გაზრდილი ფასები, ასევე საჭირო მედიკამენტების ფიზიკური არარსებობა გალის რაიონში, რაც ასევე საფრთხეს უქმნის გალში მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს -

*„აქ, სოფელში ყველაზე მეტად სჭირდებათ წამლები. არსად არ არის აფთიაქი, უბრალო წამალიც რომ მოგინდეს, გალში უნდა ჩახვიდე. ფულიც რომ გქონდეს, ყველანაირ წამალს ვერ იშოვი. მაგალითად, მე რა წამლებიც მჭირდება ბავშვებისთვის, ის წამლები გალში საერთოდ არაა. აქ წამლები საშინლად ძვირია. ზუგდიდში წამლები რომ ვიყიდე, იგივე წამალი გალში ოთხჯერ მეტი ღირდა. იძულებული ვართ, ისევე ზუგდიდში ვიყიდოთ, საზღვარზე გადავუგდებთ მეზობლებს ფულს და ისინი გვყიდულობენ, რა წამლები გვინდა... მერე მავთულხლართებიდან ჩუმად გვანვდიან. რუსები ვინც დგანან საზღვარზე, თვალს ხუჭავენ“ (ლ. ბ., ქალი, 41 წლის, საბერიო).*

*„ასაკოვანი დედა მყავს სახლში. მასზე ვნერვიულობ. წამლებს ვერ იშოვი ვერსად გალში. არის აფთიაქები, მაგრამ საშინელი ფასებია. წნევის დამარეგულირებელს სვამს დედაჩემი, ყოველდღე უნდა დალიოს. ზუგდიდიდან გამომიგზავნეს და ის რომ გამომელია, გალში ვიყიდე, რა უნდა მექნა, იმის გარეშე წნევას ვერ არეგულირებს. ზუსტად ოთხჯერ მეტი ღირდა, ვიდრე ზუგდიდში. რამდენი უნდა გქონდეს ფული, რომ იარსებო, წამლები იყიდო“ (მ. ლ. 48 წლის, ქალი, ნაბაკევი).*

ქალებისთვის საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს აფხაზეთში ამოქმედებული რეგულაცია აბორტების აკრძალვის შესახებ. თუ გამშვები პუნქტის დახურვამდე ქალბატონები საჭირო მომსახურებას საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ კლინიკებში იღებდნენ, დღეს ისინი იძულებულნი არიან, მიმართონ ორსულობის შეწყვეტის ხელოვნურ მეთოდებს სახლის პირობებში ან ეძიონ ექიმები, რომლებიც დათანხმდებიან აბორტის „არალეგალურად“ გაკეთებაზე. ამ თემაზე საუბარს რესპონდენტები უფროთხიან, თუმცა საუბრისას რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა -

*„აბორტი აკრძალულია აფხაზეთში, ქალს სხვა გზა არ რჩება და ჯანმრთელობის ფასად ან თავად ცდილობს შეწყვიტოს, ან ჩუმად, არალეგალურად იკეთებს. რამდენიმე ძველი გინეკოლოგია, რომელიც დაფარულად აკეთებს. ქალებმა იციან, ვინც აკეთებს და მას აკითხავენ, მაგრამ ამ საკითხზე არავინ საუბრობს ხმამაღლა“.*

ეკონომიკური საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ მოსახლეობის უმრავლესობისთვის შემოსავლის ძირითად ან ხშირად ერთადერთ წყაროს ხანდაზმულთა პენსია ან დევნილთა შემწეობა წარმოადგენს. გამშვები პუნქტის დახურვის გამო გალში მყოფ მოსახლეობას კუთვნილი სოციალური პაკეტის მიღების საშუალება თვეების განმავლობაში არ ჰქონდა. გასათვალისწინებელია, რომ პენსიონრების უმრავლესობა გალის რაიონის სოფლებში მარტო ცხოვრობს, გამშვები პუნქტის ჩაკეტვამდე პროდუქტებითა და წამლებით მათ უზრუნველყოფაზე შვილები ზრუნავდნენ, დღეს კი მხარდაჭერის და დახმარების ყველა გზა ჩაკეტილი აქვთ.

მოკვლევის პროცესში დადგინდა, რომ 2020 წლის ნოემბერში მოხდა გალის პენსიონრებისთვის გამშვებ პუნქტთან პენსიების გაცემის ორგანიზება, რომლის დროსაც გაურკვეველი მიზეზით პენსიონრებს 8 თვის კუთვნილი თანხიდან რამდენიმე თვის პენსია დაუკავეს - **„3 თვის პენსიებს აძლევდნენ, დანარჩენი 5 თვის აღებული გაქვით“**. მიუხედავად დიდი უკმაყოფილებისა და სასონარკვეთისა, გამშვებ პუნქტთან პენსიონრების ყოფნის შეზღუდული დროის და ამავე დროს შესაბამისი ინფორმაციის არქონის გამო, ისინი მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, ადგილზე გაესაჩივრებინათ და გადაენწყვიტათ აღნიშნული პრობლემა -

*„ორი სოფელი გადის დღეში, მაგალითად, ერთ დღეს გაიყვანენ თავილონის და ნაბაკევის პენსიონრებს და ნეიტრალურ ადგილას მიჰყავთ. ხიდთან სამხედრო გადმოიყვანს, აიღებს პენსიას და ისევ უკან გააცილებს. პენსიის ალების დროს აღმოაჩინა ხალხმა, რომ რამდენიმე თვის პენსია თითქოს ალებული ჰქონდათ. მოლარე ეუბნება, ხელი გაქვთ მონერილი და 4-5 თვის ალებული გაქვთო. ესენი ეუბნებიან, ახალი წლის მერე არ გადმოსულვარ, როგორ ავიღებდიო. აქ ასე ჩანს და გაარკვიეო. ვის მოსთხოვ პასუხს, ასეთ ვითარებაში იქ ხალხს რა უნდა გაერკვია“ (დ. ნ., ქალი, 67 წლის, ნაბაკევი).*

ფონდი „სოხუმის“ მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, პენსიონრებისთვის უკანონოდ დაკავებული კუთვნილი პენსიების საკითხის გადაწყვეტა და თანხის სრულად ჩარიცხვა მოხერხდა აღნიშნული ფაქტიდან რამდენიმე კვირის შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ პენსიონერთა ნაწილს მიეცა თვეების განმავლობაში მიუღებელი კუთვნილი პენსიის მიღების შესაძლებლობა, ხანდაზმულთა ნაწილმა ჯანმრთელობის მდგომარეობის თუ სხვა მიზეზის გამო გამშვებ პუნქტთან მისვლა ვერ მოახერხა. პენსიების მიღების ალტერნატიულ გზას მოსახლეობისთვის ზუგდიდში ან სხვა ქალაქებში მცხოვრები ნათესავებისთვის მინდობილობის გაფორმება წარმოადგენს და პენსიების მათი დახმარებით მიღება. თუმცა გამოკითხულთა დიდი ნაწილის თქმით, დისტანციურად მინდობილობის გაფორმება მთელ რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული - დისტანციური მინდობილობისთვის დაწესებული მაღალი გადასახადი (70-დან 90 ლარამდე) და ნოტარიუსთან საკმაოდ დიდი რიგები -

*„პენსიის ასაღებად უნდა გამეფორმებინა მინდობილობა ჩემი შვილისთვის, სხვანაირად ჩემს გოგოს ქუთაისში არ აძლევდნენ პენსიას. მინდობილობის გაკეთება 70 ლარი დამიჯდა. რა იქნება, ამას მაინც მიხედოს ვინმემ. ხომ შეიძლება, მთავრობამ გააკონტროლოს ეს ყველაფერი და ისედაც გაუბედურებულ ხალხს პირიდან ლუკმა არ ამოგვაცალოს. 70 ლარი ჩემთვის რამხელა ფულია“ (ნ. რ., ქალი, 69 წლის, ნაბაკევი).*

*„პროტესტი მაქვს საშინელი, მთელ ზუგდიდში მხოლოდ ერთი ნოტარიუსი მუშაობს. იმდენი ხალხი ჰყავთ, სულ რიგებია. დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე ვიცდიდი, დღეში 5 ადამიანს იღებს მხოლოდ, მეტს ვერ ასწრებს. საშინელი ამბავია პანდემიის დროს... ბავშვებთან ერთად ვიყავი და ისეთ უსამართლობას წავაწყდი, მთელი დღე რომ რიგში გინევს მოცდა და რიგმა არც მომიწია. კაციშვილი არ არის არაფრის გამკითხავი, ხალხი კი წვალობს“ (ლ. ტ., 58 წლის, ქალი, ხურჩა).*

რესპონდენტები ასევე აღნიშნავენ გალში მცხოვრები მოსახლეობის სპეციფიკური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად მათთვის დევნილთა შემწეობის შეჩერებას. შემწეობის შეჩერების მიზეზი კი 6 თვის განმავლობაში ბარათიდან თანხის მოუხსნელობაა, რის გამოც დაიბლოკა ბარათები და შეწყდა დარიცხვა.

საბაზისო სერვისებზე ხელმისაწვდომობის არარსებობის, პენსიების და სხვა სახის სოციალური დახმარებების მიღების გართულებამ საარსებო წყაროს გარეშე დარჩენილი მოსახლეობის ნაწილს უზიდავს გამშვები პუნქტის ავლით გამყოფი ზოლის უკონტროლო გადაკვეთისკენ, რაც ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და სიცოცხლის ფასად ხორციელდება -



„ყველანაირი იმედი რომ გადაენურა ხალხს, ისევ ხალხმა გამონახა გამოსავალი. იმდენი შავი ხვრელი არსებობს, მაინც ახერხებს ხალხი გადასვლას, ზოგი ღამე გადადის, ფეხებგადაგლეჯილი ქალი მისულა შუაღამე ნათესავთან, არაფერს არ ერიდებიან, თავს არ ზოგავენ, რომ გადავიდნენ“ (დ. რ., ქალი, 43 წლის, ნაბაკევი).

„ამდენ გაჭირვებას რომ უძლებ, ციხეში ჩაკეტილივით რომ ხარ, ლუკმა პურის და ყურადღების გარეშე, სხვა გზა არ გაქვს... არის ადამიანი „გამცილებელი“, რომელიც ეხმარება და ღამე, კვირაში რამდენჯერმე ხალხი გადადის... ქალე-ბიც არიან მათ შორის... სხვა გზას არ უტოვებენ. ეს უკონტროლო გადასვლა რამდენ რისკს ქმნის, არავინ ამოწმებს, შეიძლება თვითონ დაინფიცირდნენ და სხვები დაინფიცირონ... სახლში რომ მოგივა ნათესავი, ხომ ვერ მოუკეტავ კარს... უკან რომ ბრუნდებიან, იჭერენ, მიყავთ გალის იზოლატორში, თანახმა არიან, ჯარიმაც გადაიხადონ, ასეთ მძიმე მდგომარეობაშია ხალხი ჩავარდნილი... გახსნან „საზღვარი“, შეამოწმონ ეს ხალხი, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არ არიან?!“ (გ. ს., ქალი, 59 წლის, ხურჩა).

## 2.5. მოსახლეობის დამოკიდებულება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიკრიზისული მხარდაჭერის პროგრამების მიმართ

რესპონდენტების დამოკიდებულება საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამის მიმართ არაერთგვაროვანია. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს ცალკეულ პროგრამას, უმეტესობა, კერძოდ კი **54,9%** (580-დან 314) თვლის, რომ გატარებული მხარდაჭერის პროგრამა მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს მათ საჭიროებას. გამოკითხულთა **31,4%**-ის აზრით, არ მომხდარა მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების კვლევა და მათ წინაშე არსებულ პრობლემებზე ჯეროვანი რეაგირება. რესპონდენტთა მხოლოდ **8%-მა** დააფიქსირა მოსაზრება, რომ პროგრამა სრულად პასუხობს მოსახლეობის საჭიროებას (იხ. დიაგრამა №7).

დიაგრამა №7

რამდენად პასუხობს მთავრობის მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის პროგრამა თქვენს საჭიროებებს



კვლევაში მონაწილე უმრავლესობამ - 44,1% (256) ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებული მხარდაჭერის პროგრამებიდან ისარგებლა 3 თვის კომუნალური გადასახადით. ერთჯერადად 300 ლარის დახმარება მიიღო 9,5%-მა (55), სამსახურის დაკარგვის გამო დახმარების სახით 200 ლარი 6 თვის განმავლობაში მიიღო გამოკითხულთა 2,4%-მა (14), ხოლო არცერთი დახმარება არ მიუღია რესპონდენტთა 17,4%-ს (101).

გამოკითხულთა ნაწილის აზრით, ერთჯერადი დახმარებები საკმაოდ არაეფექტიანია და გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობის წინაშე არსებულ პრობლემებს არ წყვეტს -

*„მივიღე ბავშვების 200-ლარიანი დახმარება მხოლოდ. ეს საჭიროებებს არ პასუხობს. არის კატეგორია, ვისაც ბევრად უჭირს და გამიხარდებოდა, რომ მაგათვის მაინც მიეხედათ საჭიროების მიხედვით“ (მ. კ., ქალი, 54 წლის, კოკი).*


*„ერთჯერად დახმარებებს არასოდეს არა აქვს ეფექტი. დახარჯავ და მორჩა. არ ვიცი, რატომ არ ფიქრობენ უფრო ეფექტიან დახმარებაზე. დაენყოთ ინტერნეტის გამართვით. პანდემიამ გამოკვეთა, რომ ყველაზე მეტად გვჭირდება ინტერნეტი და აღმოჩნდა, რომ ეს არ გვაქვს. რატომ ამით არ დაინყეს? რეკომენდაციებს რომ იძლევიან, მენარმეებმა ონლაინ გაყიდვებზე იფიქრონო და ეს ბაზარი აითვისონო, როგორ, რანაირად, ინტერნეტი თუ არ იქნა, ბაზარს როგორ აითვისებ? მე, მაგალითად, მჭირდება, პროდუქტი სოფელში რომ ვიყიდო. დაეხმარონ ამ ხალხს ინტერნეტ გაყიდვებში, საზღვარგარეთ ეს ძალიან კარგად მუშაობს. არჩევანის საშუალება გაქვს ონლაინ შეკვეთებისთვის. საკურიერო სისტემა აწყობილია. გლეხებს სულ არ უწევთ ბაზრებში სიარული. შეკვეთებს იღებენ და გასცემენ. მაგრამ ამ სისტემის შექმნას მუშაობა უნდა. მიუგდეს ერთჯერადი დახმარებები ხალხს და ამით დამთავრდა ყველაფერი“ (ბ. გ., კაცი, 57 წლის, ხონი).*

*„მე ვიყავი თვითდასაქმებული და სახელმწიფოს მიერ ანტიკრიზისული მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მივიღე ერთჯერადი ფულადი დახმარება, რაც იყო ძალიან მცირე, ექვსი თვე დავრჩი შემოსავლის გარეშე, ბანკის ვალდებულებებთან ერთად... მოხდა ისე, რომ ბანკმაც არ გამიკეთა გადავადება და სამუშაოს აღდგენის შემდეგ ვიხდი დაკისრებულ ჯარიმებს“ (ნ. კ., ქალი, 38 წლის, კოკი).*

კითხვაზე, თუ რამდენად პასუხობდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწოდებული მომსახურება მოსახლეობის საჭიროებას, გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ ნაწილობრივ - 45% (262). 37%-ის აზრით, ეს სერვისები არ იყო მორგებული მათ საჭიროებას, ხოლო 18% (102) მიიჩნევს, რომ შეთავაზებული მომსახურება სრულიად პასუხობდა მათ საჭიროებებს (იხ. დიაგრამა №8). კვლევის შედეგები მოწმობს, რომ არ მოხდა მოსახლეობის სპეციფიკური საჭიროებების ჯეროვანი შესწავლა და არასაკმარისად იყო უზრუნველყოფილი მოსახლეობის ჩართულობა ადგილობრივი სერვისების და გასაწევი დახმარებების განსაზღვრის პროცესში.

დიაგრამა №8


**რამდენად პასუხობდა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შეთავაზებული მომსახურება მოსახლეობის საჭიროებას**



გამოკითხულთა 78,5% მიიჩნევს, რომ პანდემიის პერიოდში ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არ ხორციელდებოდა მათი საჭიროებების შესწავლა და მხოლოდ 21,5% თვლის, რომ მათი საჭიროებები შესწავლილ იქნა. საგულისხმოა, რომ უარყოფით პასუხთა ყველაზე დიდი წილი მოდის გალის რაიონის (100%) და კონფლიქტის გამყოფი ზოლის სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობაზე (91,7%) (იხ. დიაგრამა №9).

დიაგრამა №9

**ხდებოდა თუ არა პანდემიის პერიოდში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ თქვენი საჭიროებების შესწავლა**




რაოდენობრივმა მონაცემებმა ასევე ცხადყო, რომ მომართვეიანობა მოსახლეობის მხრიდან ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ იყო საკმაოდ დაბალი. პანდემიის პერიოდში გამოკითხულთა მხოლოდ 13%-მა მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობას დახმარებისთვის, არ მიუმართავს 76%-ს, ხოლო 11% თვლის, რომ მიმართვას აზრი არ აქვს, რადგან მაინც ვერ დაეხმარებიან (იხ. დიაგრამა №10). აღნიშნული შეიძლება აიხსნას რამდენიმე მიზეზით: მოსახლეობა არასაკმარისად არის ინფორმირებული ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეთავაზებული დახმარებათა პაკეტის და მომსახურების შესახებ, არ ფლობს




ინფორმაციას, თუ ვის ან რა ფორმით მიმართოს დახმარების მისაღებად, ან/და მიუხედავად მცდელობისა, მისი თხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო, რაც ზრდის უნდობლობას და სკეპტიციზმს ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციისადმი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა და კომუნიკაციის მაქსიმალური გააქტიურება.

დიაგრამა №10




ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეთავაზებული დახმარების შესახებ ინფორმაციის დეფიციტს მოწმობს გამოკითხულთა პასუხი კითხვაზე, თუ რომელი სახის ინფორმაციაზე მიუწვდებოდა ხელი მოსახლეობას ყველაზე მეტად პანდემიის პერიოდში. გამოკითხულთა ყველაზე ნაკლებმა რაოდენობამ მიუთითა ადგილობრივი ხელისუფლების სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე - 6,7%. ყველაზე კარგად მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი იყო ინფორმაცია ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ანტიკრიზისული მხარდაჭერის პროგრამების - 81,6% და გატარებული შეზღუდვების შესახებ - 65,5% (დეტალურად იხ. დიაგრამა №11).

დიაგრამა №11



გამოკითხვის დროს ყველაზე პრიორიტეტულ საჭიროებად გამოკითხულთა უმრავლესობის მიერ დასახელდა - „კრიზისის გამო ეკონომიკურად დაზარალებული ადამიანების მხარდაჭერა“ - 33,4 (194), „ჯანმრთელობის პრობლემის მოგვარება და დროული სამედიცინო დახმარების მიღება“ - 20,5% (119), „ფსიქოლოგის კონსულტაციები“ - 16,6% (96), „საკვები პროდუქტები და საყოფაცხოვრებო ნივთები“ - 16% და „მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა“ - 12% (დეტალურად იხ. დიაგრამა №12).

დიაგრამა №12



### 3. კრიზისზე რეაგირების სტრატეგიები - რეკომენდაციები

- **ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას:** სქესის და ასაკის ნიშნით დანაწევრებული ინფორმაციის შეგროვება COVID-19 ვირუსის გავლენაზე: პანდემიით გამოწვეული პრობლემების და სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფის საჭიროებების სისტემატური კვლევა, სქესის და ასაკის ნიშნით დანაწევრებული ინფორმაციის შეგროვების გზით (მაგ., ქალების, კაცების, ბავშვების/სკოლის მოსწავლეების, სტუდენტების, ხანდაზმულების, შშმ პირების, ძალადობის მსხვერპლი ქალების, მრავალშვილიანი ოჯახების, კონფლიქტით დაზარალებული, გამყოფ ზოლთან მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების კვლევა გენდერული ანალიზის გზით და ა. შ.) და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი რეაგირების სტრატეგიის შემუშავება;
- **ადგილობრივ ხელისუფლებას:** მუნიციპალური მომსახურების და პანდემიის საპასუხოდ მოსახლეობის მხარდაჭერის პროგრამების შესახებ მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება ადგილობრივი ტელევიზიით, რადიოთი, მუნიციპალიტეტის ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში. ხოლო მოსახლეობის იმ ნაწილისთვის, რომლის ხელმისაწვდომობა ელექტრონული პლატფორმებისადმი გართულებულია, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ბეჭდური სახით მაღაზიებში, აფთიაქებში, ბაზრობებზე, ადმინისტრაციულ შენობებში და ა.შ.);
- **ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას:** მოსახლეობის ელექტრონული სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ინტერნეტ პროვაიდერებთან აქტიური მოლაპარაკებების წარმოება, კონკრეტულ დასახლებებში ინტერნეტიზაციის ან ინტერნეტის სიგნალის გაძლიერების უზრუნველყოფის მიზნით;
- **საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან** დისტანციურ სასწავლო პროცესში სრულფასოვანი და შეუფერხებელი ჩართვის უზრუნველსაყოფად სკოლის მოსწავლეების, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის ინტერნეტის საფასურის გადახდაში დახმარების განწევა და სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით მომარაგება. კონფლიქტის გამყოფ ზოლში მცხოვრები მასწავლებლებისთვის ზეგანაკვეთური საქმიანობისთვის შესაბამისი ანაზღაურების გამოყოფა;
- **ადგილობრივ ხელისუფლებას:** მუნიციპალიტეტში მომსახურების ეფექტიანობის შეფასების სტანდარტების დანერგვა არსებული სერვისების მოსახლეობაზე ზეგავლენის და ეფექტიანობის შესაფასებლად. ამისთვის შესაძლოა შეფასების ელექტრონული ფორმების შექმნა, რათა მარტივად და მინიმალური დანახარჯებით მოხდეს მოსახლეობისგან მომსახურებით კმაყოფილების შესახებ ინფორმაციის მიღება;

- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან COVID-19-ის შედეგად გაზრდილი ძალადობის ფაქტების საჯაროდ დაგმობა და მასთან უკომპრომისო ბრძოლის მზაობის დეკლარირება. ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდასაჭერად გრძელვადიანი სერვისების გაძლიერება და გაფართოება, ასევე მათ შესახებ მოსახლეობის უფრო მეტად ინფორმირება;
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების მხრიდან ცნობიერების ამაღლების კამპანიების აქტიურად ჩატარება და გენდერული უთანასწორობის და ძალადობის გაზრდილ ფაქტებზე კრიტიკული აზრის დაფიქსირება ცნობილი სახეების, პოლიტიკური ფიგურების, სპორტსმენების, ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანების აქტიური ჩართვით;
- საქართველოს ხელისუფლების მხრიდან საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, კერძოდ კი გალის რაიონში, გამყოფ ხაზთან მცხოვრები ქართველი მოსახლეობის საჭიროებების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა და სახელმწიფო დახმარების პროგრამაში მათი გათვალისწინება;
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან კრიზისით დაზარალებული მოსახლეობისთვის ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების შეთავაზება, ელექტრონული მენარმეობის შესახებ მოსახლეობის უნარ-ჩვევების გაზრდა და მხარდაჭერა;
- საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კორონავირუსის (COVID-19) პანდემიის შედეგად შექმნილი კრიზისის და გამოწვევების შედეგების შემცირებისა და დაძლევისკენ მიმართული სწრაფი რეაგირების საგრანტო კონკურსების გამოცხადება ყველაზე მოწყვლადი და რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების მხარდასაჭერად (მცირე ბიზნესის წამოწყების და სამუშაო ადგილების შექმნის მხარდაჭერა, გენდერული უთანასწორობის, ოჯახში ძალადობის პრევენციის და მის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებების, მოქალაქეების მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევისკენ და ამ ჯგუფების გადამწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვისკენ მიმართულებით მოქმედებების მხარდაჭერა).





## კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“

კვლევის ანგარიში მოამზადა ეკატერინე ბამახარიაშვილმა  
(ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა)

მონაცემთა შეგროვებაზე მუშაობდნენ:  
სათუნა ბოგუა

(ფონდი „სოხუმის“ პროექტის ასისტენტი)

დოდო ბუკია

ნაზი ტუკვაძე

დალილა ჩიქავა

მარიკა მებრეღიძე

ლარისა შენგელია

რუსუდან კოვზირიძე

ზაირა კოპალიანი

ილონა ნაჭყავაძე

მანია მანდარია

დინა ბიორვაძე

ვერონიკა ქობალია

ნამგა ბორგოტაძე

ნონა მურვანიძე

ლელა ნაცვალაძე

ნათია კიკვაძე

(ფონდი „სოხუმის“ მოდერატორები, ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრები)

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

მისამართი:

თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

ქუთაისი, მაგალობლიშვილის ქ. 6

ელფოსტა: [womansukhumi@gmail.com](mailto:womansukhumi@gmail.com);

[fundsukhumbilisi@gmail.com](mailto:fundsukhumbilisi@gmail.com)

ვებგვერდი: [www.fsokhumi.ge](http://www.fsokhumi.ge)

ფეისბუქგვერდი: [www.facebook.com/fsokhumi/](http://www.facebook.com/fsokhumi/)